# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 ივლისი, 2012 წელი.

№128 (7004)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# სიცილიური თამაში



## (გამბინოს გამბიტი)

3-4

## ხალხის დაბოლებაშიც ზომიერებაა საჭირო, ყვარყვარეების შთამომავლებო!

2

## ბაჩო ახალაია - სააკაშვილის ლუკა ბრაზი

6

სარედაქციო ფოსტიდან

# როცა ქვეყანაზე კი არა, საკუთარ თავზე ვფიქრობთ...

**წერილის დასაწყისშივე ვიტყვი, რომ ნაციონალთაგან და, კერძოდ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, კოალიცია „ქართული ოცნება“ და, კერძოდ ბიძინა ივანიშვილი უწინარესად ქვეყანაზე ფიქრმა მოიყვანა პოლიტიკაში და არა სახელის ანდა ქონების მოხვეჭის დაუოკებელმა სურვილმა, რომელი სურვილიც, უფრო სწორად, ჟინი, უკვე თითქმის ცხრა წელიწადი წამიერადაც არ განელებიათ არც ნაციონალთ და, მით უმეტეს, თვით ნაციონალთა კონსტიტუციაჭამია ბელადს.**

აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ ის წინასაარჩევნო სახელისუფლებო ძალადობა, რისი მოწმენიც ყოველდღიურად ვხდებით და რასაც დემოკრატიულ პროცესად გვისაღებენ „რუსთავი-2“ და „იმედი“, პატარა კაცთაგან პატარკაციშვილისთვის ყაჩაღურად წართმეული!

მაგრამ შიდა ძალადობა და ცილისწამება საკმარისი რომ არ აღმოჩნდა „მეოცნებეთა“ და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის „რუსეთის აგენტობის სამხილებლად“, რაც აშკარად გამოჩნდა თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთისა და მცხეთის მრავალათეულათასიან შეხვედრებზე, ნაციონალებმა თავიანთი ენაპირდაბლაგვებული პროპაგანდისტული დესანტი – ავად სახელგანთქმული ჩიორა თაქთაქიშვილისა და დავით დარჩიაშვილის სახით – ახლა ევროპაში, ევროპარლამენტში გადაისროლეს, საიდანაც ორი დღეა საზიზღარ ოკუპანტ რუსეთთან „მეოცნებეთა“ და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის „ჩახუტებულობაზე“ გვესმის საქართველოში „ახალგაზრდა დემოკრატიის მხარდამჭერთა და დამცველთა რისხვანარევი ხმა“, რომელიც ჩვენამდე ყოველივე ჭეშმარიტად ქართულის უიმედოდ ჩამხშობ „იმედს“ მოაქვს.

მე პირადად და ბევრ ჩემისთანა მოქალაქეს ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ საქართველოს „წარმატებული პრეზიდენტის“ მხარდამჭერ ევროპარლამენტის დეპუტატებს სწორედაც თაქთაქიშვილისა და დარჩიაშვილისგან გადაცემული „შპარგალკები“ ეჭირათ და ზუსტად ნაციონალებისთვის ჩვეული სიტყვებით ლანძღავდნენ ქართულ ოპოზიციას, რომელიც თურმე რუსული ფულით ცდილობს ამომრჩეველთა ყიდვას, რათა საქართველო ევროპისა და ამერიკის გზას ააცდინონ და ისევ „რუსულ სივრცეში“ მოაქციონ ისევ კოლონიური სტატუსით.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ის თურმე პირდაპირ პუტინის დავალებას ასრულებს, ანუ პუტინთან „შეკრულია“, და როცა არჩევნების წინა დღეებში რუსეთი საქართველოს მეზობლად სამხედრო წვრთნას დაიწყებს, ბიძინა ივანიშვილის დაძახილზე ხალხი ქუჩაში გამოვა, რამაც ვაითუ „ნორჩი ქართული დემოკრატია“ საბოლოოდ დაღუპოს... გარდა ამისა, „მეოცნებეთა“ თავკაცი თურმე ევროპაშიც და ამერიკაშიც ხელგაშლილად ყიდულობს ფულს დახარბებულ ლობისტებს, რომლებიც სააკაშვილს ებრძვიან და დეზინფორმაციას ავრცელებენ უცხოეთში.

რახან ლობისტები და დეზინფორმაცია ვახსენე, აქვე უნდა მივმართო თავიანთ კეთილდღეობას ვერშელეულ ჩიორა თაქთაქიშვილსა და დავით დარჩიაშვილს, თუ ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს ლობისტებს, იქნებ გვითხრან, ვინ იყიდა, როგორც ლობისტი, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე ვილფრიდ მარტინი, რომლის გაზეთ „მონდში“ („Le Monde“-ძ დაბეჭდილი აშკარად დეზინფორმაციული სტატია ორი დღე და ღამე თავიდან ბოლომდე გვიკითხა საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მოქალაქის გულში უიმედობის მთესველმა „იმედმა“?! ვიღაც-ვიღაცებს მართლა ბრმები და ყრუები ხომ არ ვგონივართ და არ ვიცით კარგისა და ავის გარჩევა!



არა, ბატონებო, მარტო ნაციონალურობის სახელი აღარ გიშველით. თუ მილიარდების დახარჯვა, ქართული სოფლის აყვავება და უმუშევრობის „დამარცხება“ გინდოდათ, აქამდე სად იყავით?! რასაც ამ თითქმის ცხრა წელიწადში შეპირებული იყავით, განა რომელიმე დაპირება შეუსრულეთ ხალხს?!

ასე რომ, თქვენი ახალი ლოზუნგი: მეტი სარგებელი ხალხს, თითოეულ ადამიანსო, თქვენთვის, რასაკვირველია, მართლაც ახალსარგებლიანი იქნება, ჩვენთვის კი ისევ მორიგ სატყუარად დარჩება. ამას მწარე გამოცდილება მალაპარაკებს.

ამიტომ ჩვენ, ხალხმა, უკვე კარგად გავაცნობიერეთ, ვინ ვინ არის და ოქტომბერში ვინ უნდა მოვიყვანოთ ხელისუფლებაში.

**ძირს ძალადობა და ტყუილები! დაე, ერთხელ და სამუდამოდ საქართველოშიც გაიმარჯვოს ჭეშმარიტმა სიმართლემ, სამართლიანობამ და ჭეშმარიტმა სახალხო დემოკრატიამ!..**


ანზორ წიკლაური,
ქ.თბილისი.

ერიჰა!

# ამას გვიმალავდით?!

## ხალხის დაბოლებაშიც ზომიერებაა საჭირო. ყვარყვარეებოს შთამომავლებო!



**„არ ვარ, ბატონო, მე ის კაცი, არ ვარ!..“ — ხომ გახსოვთ, როგორი მიკნავებული ხმით ლუღლუღებს ცხონებული დოდო აბაშიძის ყვარყვარე, რევოლუციონერობის ბრალდებით რომ ჰყავთ დაპატიმრებული, და „ამას მიმალავდითო?!“, რაოდენ ჭეშმარიტად სუზერენული რისხვით დასჭექს სულ ცოტა ხნის წინათ მისთვის თავისუფლების აღმკვეთ და უცებ წრუწუნებად ქცეულ პოლიციელებს, როდესაც მათ აცნობებენ, რევოლუცია მოხდაო.**

დაახლოებით იგივე აღმოვხდა, როდესაც საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სახალხოდ განაცხადა, **სამუშაო ყველას ექნება, ვინც მუშაობას მოისურვებსო.**

**ამას უმალავდით, თქვე კარგი დედმამის შვილებო, უმუშევრობა-უპერსპექტივობის შეგრძნებით სასოწარკვეთილ და ლამის დეპრესიაში ჩავარდნილ ხალხს?**

**თუ ამ უმტკივნეულესი პრობლემის მოსახსნელი ჯადოსნური ჯოხი გქონდათ, რომლის ერთი დაქნევაც დასაქმების სახელმწიფო მინისტრს ტრაპაიძეს გამოაკაშკაშებდა მომავალ უთვალავ სამუშაო ადგილთან ერთად, აქამდე სად იყავით?**

**რა ვიცი, მე, ისევე, როგორც უთვალავ ჩემნაირ „ჩამორჩენილ-ჩარეცხილს“, აქამდე მეგონა, რომ სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნიდა, რომელი ბიზნესისთვისაც, თავის მხრივ, ხელისუფლებას უნდა შეექმნა სათანადო საკანონმდებლო ბაზა და ხელიც შეეწყო წარმატებული მუშაობისთვის, მაგრამ სად არის ჩვენთან ეს განვითარებული ბიზნესი? ხოლო თუ სახელმწიფო საწარმოების შექმნა-ამოქმედება განგიზრახავთ, რისი შეძლება არანაირად არა გაქვთ, ეს უკვე, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, საბაზრო ეკონომიკა არ არის!**

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ბიუჯეტი 40 მილიარდ ლარამდე გაიზრდებაო, ჯანდაცვისთვის 3 მილიარდი ლარი დაიხარჯებაო, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის — 4 მილიარდიო, ყოველ ოჯახს 1000 ლარი მიეცემაო, ეს გაკეთდებაო, ის მოგვარდებაო...

**რანაირად, რის ხარჯზე? თუ ამის შესაძლებლობა მართლა გაქვთ, აქამდე რატომ არ აკეთებდით?**

**ამას გვიმალავდით?!**

იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ „ქართული ოცნების“ მიერ კარგა ხნით ადრე დეკლარირებული პრიორიტეტების — **დასაქმება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა** — ასე უცერემონიოდ მითვისება, სულ მცირე, პლაგიატორობა და სირცხვილია, იმას არ ითვალისწინებთ, რომ ამდენი დაუსაქონლებელი და „გაუთვალისწინებელი“ ფულის ბაზარზე გამოჩენა საგრძნობ ინფლაციას გამოიწვევს?

მესმის, რომ წინასაარჩევნოდ კახელთა საყვარელი „კაკლი მურაბასავით“ დამტკბარი ჩვენი ხელისუფლება ბევრ სხვა სიკეთესაც შეჰპირდება ამომრჩევლებს, მაგრამ, **მერწმუნეთ, ხალხის დაბოლებაშიც ზომიერებაა საჭირო, ყვარყვარეს შთამომავლებო!**

ეს არის მთავარი, თორემ რეალურ დაპირებებს და, მით უფრო, რეალურ საქმეს რომელი ჭკუათმყოფელი არ მოიწონებს, მე რომ დავიწუნო?

**თუ რაო, აქამდე, აქაოდა, არჩევნებამდე შორიაო, თითოეულ ადამიანს არ უნდა ეგრძნო ხელისუფლების საქმიანობით სარგებელი, რომელიც ახლა მთავრობის სამოქმედო სლოგანად „გამოფინა“ ახალმა პრემიერმა?**

**რუსლან რუსია**

მზაკვრული ჩანაფიქრი

# პაატა ზაქარეიშვილი: მიხეილ სააკაშვილი არჩევნების ჩასაშლელად კონფლიქტურ რეგიონებს გამოიყენებს

**კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ქართული მხარის მიერ სოფელ ზარდიანთკარში პოლიციის საგუშაგოს გადაწევის ფაქტს და ოსური მხარის განცხადებას, რომ „ეს არის 2008 წლის ზაფხულის დეჟავიუ“, აფასებს როგორც საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, არჩევნების წინ სიტუაცია გაამძაფროს და დაძაბოს, რომელსაც შემდგომ საპარლამენტო არჩევნების ჩასაშლელად გამოიყენებს.**

**— რა აუცილებლობა იყო ქართული მხარისთვის სოფელ ზარდიანთკარში პოლიციის საგუშაგოს გადაწევა ოსური სოფლებისკენ?**

— მე ვფიქრობ, ქართული მხარე არჩევნებისთვის ემზადება და ცდილობს, მაქსიმალურად გაამძაფროს დაძაბულობა, რომელსაც შემდგომ, არჩევნების წინ გამოიყენებს. ქართულმა მხარემ წარმართული სტრატეგიით მიაღწია იმას, რომ გალის რაიონში შეხვედრები აღარ იმართება და ყოველგვარი კონტაქტები შეწყვეტილია აფხაზურ მხარესთან. ამჯერად ოსური მხარის გაღიზიანებას იწვევს სააკაშვილის ხელისუფლება და სიტუაცია მიჰყავს იქითკენ, რომ ახლა უკვე ოსურმა მხარემ თქვას უარი კონტაქტებზე. ზარდიანთკარის საგუშაგო სწორედ ამ მიზნით გადაიტანეს, თორემ არანაირ აუცილებლობას ეს არ წარმოადგენს. რაღა მაინცდამაინც არჩევნების წინ გამოიწვიეს მოსახლეობაში დაძაბულობა და პრობლემა? ზოგადად, ლოგიკა არის ის, რომ მოსახლეობა უნდა დაბრუნდეს, მაგრამ რაღა ახლა უნდა განხორციელდეს ეს ყველაფერი? თუ ოსური მხარე უარს განაცხადებს ყოველგვარ კონტაქტზე, მაშინ აღარ იქნება მოპასუხე მხარე და უფრო ადვილად განახორციელებენ ისინი იმ პროვოკაციებს, როგორსაც ახორციელებდა სააკაშვილის ხელისუფლება 2008 წლის აგვისტომდე.

**— ოსური მხარის განცხადებით, ქართული მხარის ქმედებები 2008 წლის ზაფხულის დეჟავიუს წააგავს. რამდენად არის 2008 წლის აგვისტოს განმეორების შესაძლებლობა?**

— სწორედ ამის შეგრძნება მაქვს მეც, თუმცა, ვფიქრობ, ომი აღარ იქნება, რადგან რუსეთს ეს აღარ აწყობს. რუსეთი უომოდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ვერ ახერხებდა. ვფიქრობ, უფრო დაძაბულობა იქნება. რუსეთს სამხედრო ოპერაციები არ აწყობს, თორემ ქართული მხარე სიამოვნებით ჩაერეოდა ამ ავანტიურაში და განახორციელებდა იმას, რაც 2008 წლის აგვისტოში განახორციელა. რუსეთმა უკვე ყველაფერი გააკეთა ომით, რისი გაკეთება და მითვისებაც სურდა.

**— რას მოიგებს ქართული მხარე არჩევნებამდე სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის ფონის შექმნით და რამდენად რეალურია დაძაბულობის კონფლიქტში გადაზრდა?**

— იგებს იმას, რომ თუ დაძაბულობა უფრო ინტენსიური გახდება, გამოაცხადებს, რუსეთი ჩვენს საქმეებში ერევაო. რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელიც დიპლომატიური გზით აგვარებს პრობლემებს. ვიმეორებ, ომი არ იქნება, თუმცა დაძაბულობა აუცილებლად შეიქმნება. თანაც ამ ყველაფერს ემატება რუსეთის სამხედრო წვრთნები კავკასიაში. დაძაბულობის შექმნით სააკაშვილი არჩევნებიდან კონფლიქტურ რეგიონებზე გადაიტანს ყურადღებას. თუ არ იქნება დაძაბულობა, ის ვერაფერზეც ვერ შეძლებს მოსახლეობის ყურადღების გადატანას არჩევნებიდან სხვა რამეზე. დაძაბულობას კონფლიქტურ რეგიონებში მიხეილ სააკაშვილი არჩევნების ჩასაშლელად ან გადასატანად გამოიყენებს. არ არის გამორიცხული, რომ ქართული მხარე გართულებებზე წავიდეს და დაძაბულობის ფონი გაამძაფროს.

From.ge




პარტიებსა და მოძრაობებში

# ჯონდი ბაღათურია: საქართველოს მკვდრები მართავენ!



**გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პრესკონფერენცია გამართა. თემა იყო საარჩევნო კოალიციები. კონფერენცია ძირითადად ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვებით წარიმართა.**

ჯონდი ბაღათურიას თქმით, მინისტრთა კაბინეტის ამჟამინდელი წინასაარჩევნო ცვლილებები ახალი არ არის, სააკაშვილმა გამიზნული შიდა გადანაცვლებები მოახდინა. ჯონდის აზრით, ამ ყველაფრის უკან მაღალჩინოსანთა ინტერესები დგას.

შაშკინი და ბევრი სხვა ნაციონალი პოლიტიკოსი რეპრესიებით და კორუფციით არიან დაკავებულნიო, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

საარჩევნო კოალიციებს ის დადებითად აფასებს. მიაჩნია, რომ მისაღებია თავისუფალი აზრის თავისუფლად გამოთქმა. ბიძინა ივანიშვილთან დასალთა მეგობრობა გაგრძელდება. ბატონი ჯონდი იხსენებს მასთან შეხვედრას და შინაარსიან დიალოგს, იმის შესახებ, თუ როგორი ფორმატით შედგება კოალიციები, შეჯერდება აზრი. ბაღათურია ასევე საქმიან ურთიერთობას ამყარებს ნინო ბურჯანაძესთანაც, მათი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

„ქართულ დასსა“ და „ქართულ ოცნებასაც“ სურთ, იყვნენ პარლამენტში. „დასს“ წინასაარჩევნოდ შეუმუშავებია გეგმა, რომელიც კონფერენციაზე გაგვაცნო. გვთავაზობს ორ საარჩევნო სიას. მეორეს გამოიყენებს იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე და სახლში დააფიქსირებს თავის პოზიციას. დასი, გამარჯვების შემთხვევაში, ხალხს ჰპირდება, რომ პენსია გაიზრდება 220-230 ლარამდე. ასევე ჩაატარებს მასშტაბურ ამნისტიას. ეს ოქტომბრის დასასრულისთვის მოხდება .. „ქართული დასის“ მესამე პროექტი საბანკო კრედიტების გაჯანსაღება და ინფლაციის მაქსიმალურად დაწევაა.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, სააკაშვილი ვერ იქნება თურქმენბაში, რადგანაც ქართველები დიდი ტრადიციების მქონე ერია.

**„ასე რომ, სააკაშვილი ჩემთვის უკვე წარსული და მკვდარია, ამის შედეგად საქართველოს მკვდრები მართავენ. ეს კი ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა, რის შეჩერებასაც წყნარად და მშვიდად შევეცდები“,** — განაცხადა ბატონმა ჯონდი ბაღათურიამ.

**ნათია ლომია,**
სტუდენტი.

# სიცილიური თამაში (გამბინოს გამბიტი)

**Life is a kind of Chess, with struggle, competition, good and ill events**
**BENJAMIN FRANKLIN**

თუმცა, ამ თამაშს და ამ სვლებს, ზუსტად ასე, ალბათ, ვერ გავაგრძელებთ...

საქმე ის არის, რომ იტალიელი ჯულიო პოლერიოს მიერ 1594 წელს აღწერილი და 1777 წელს დიდი ფრანგი მოჭადრაკის ანდრე ფილიდორის მიერ ხელახლა აღმოჩენილი სიცილიური დაცვა, რომელიც სადღეისოდ ჭადრაკის ყველაზე პოპულარული ვარიანტია, ვერ გახდება დღევანდელი საუბრის ზუსტი საგანი, — ორი მიზეზის გამო.

ერთი ის, რომ მოთამაშე, რომელიც დღევანდელ თამაშში ერთ-ერთი მხარეა, იმდენად დაუპროგნოზირებელია, რომ მისი სვლები არანაირ ლოგიკას და თეორიას არ ექვემდებარება. და მეორე ის, რომ ის თამაში, რასაც ეს სწორუპოვარი დიდოსტატი თამაშობს, შეიძლება მართლაც სიცილიიდან იღებდეს სათავეს, მაგრამ მას ჯულიო პოლერიოსთან, დონ პიეტრო კარერასთან, ფრანჩესკო კოზიოსა და სხვა ცნობილ იტალიელ მოჭადრაკეებთან ძალიან ცოტა აქვს საერთო, და გაცილებით მეტი — ისეთ არანაკლებ ცნობილ სიცილიელებთან, როგორიც იყვნენ თავისი საქმის მართლაც რომ გროსმაისტერები — ჯუზეპე მასერია, სალვატორე მარანზანო, კარლო გამბინო...

თუმცა არის მაინც რაღაც კავშირები ამ ორ თამაშს შორის:

აქ სიცილიურ დაცვასაც პირველად „სიცილიური თამაში“ ერქვა.

ზემოთ აღწერილი გროსმაისტერები სიცილიის გარდა ამერიკასთანაც იყვნენ ასოცირებული, და

სიცილიური დაცვა შავებით თამაშის საუკეთესო ვარიანტად ითვლება და, ჩვენდა გასაოცრად, ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ზემოთ ხსენებული სწორუპოვარი და ლოგიკაზე მწყრალად მყოფი მოთამაშე იძულებულია შავებით ითამაშოს, მოწინააღმდეგის სვლებს ელოდოს და თავი დაიცვას. თუმცა მისი თავდაცვა ხშირად პირწავარდნილი თავდასხმაა და სწორედ ამიტომ, ალბათ, სწორია ის ვარიანტი, რომელიც სათაურად ავირჩიე — „სიცილიური თამაში (გამბინოს გამბიტი)“.

გაუჭირდა მიშიკოს!

აბა, რომ არ გაჭირვებოდა, 8 წელია, ზურა ჟვანიას ე.წ. „გაზით გაგუდვის“ შემდეგ, ძლიერი კი არა, საშუალო სიძლიერის პრემიერ-მინისტრი არ მონდომებია... ძაან ბოდიში, მაგრამ სულ იმისთანა ხალხს ირჩევდა, საფერფლეს რომ ესვრი და მაქსიმუმ, თირკმლის ატკივების გამო განცხადებას დაწერს და ჩუმად და მორიდებულად წავა... ჰოდა, ახლა რამ მოანდომა ვანო მერაბიშვილის გაპრემიერება? რატომ დაჭირდა „ძლიერი მენეჯერი“, რომელიც აქამდე არ დასჭირვებია? რატომ ალაპარაკდა იმაზე, რომ ვანო გადაჭრის დასაქმების პრობლემას, მიხედავს ქართულ სოფელს, აალორძინებს ეკონომიკას და იქნება ისეთი წარმატებული, როგორიც... თავად მიშა არ ყოფილა???!. ეს ყველაფერი ხომ ისე შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული, რომ მიშამ რაშიც თავად ვერ ივარგა, ახლა იქ გაუშვა ვანო! შე კაცო, 6 წელია იძახი, კორუფცია და კრიმინალი, დავამარცხე და გავანადგურეო, და, აბა, აქამდე დაგეკარუსელებინა პრემიერად ეს ღვთისგან ბოძებული მენეჯერი, და შენც დაისვენებდი და — ქვეყანაც!

სიმართლე სხვაა: მიშას გაუჭირდა და სწორედ ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი, რომელიც მისთვის ძალიან ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს ტაქტიკურად, მაგრამ სტრატეგიულად, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ალბათ, უფრო მეტ თავის ტკივილს და პრობლემებს შეუქმნის, ვიდრე ეს წარმოუდგენია.

სამშაბათამდე, როცა მიშა (თუ უკვე ვანო?) მინისტრების წარმოდგენით კარტებს გახსნის (თუმცა, ყველა კარტი რომ არ გაიხსნება დაუყოვნებლივ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ), ალბათ, ბევრი რამ ბურუსით მოცული დარჩება. მაგრამ ხომ საინტერესოა, როგორ იგეგმება ეს სიცილიური პარტია? რა სვლებს თვლის და როგორ უყურებს თავის პერსპექტივას მიშა (სხვების და ქვეყნის პერსპექტივა მას ხომ ყოველთვის ფეხებზე ჰკიდია), რომელიც წესების გარეშე თამაშის დიდოსტატია — ყველა გაგებით?!.. ვნახოთ, როგორ თამაშობს სიცილიურ(მაფიოზურ) დაცვას დემოკრატად შერაცხილი მიშა გამბინო. რამდენად სწორად გამოვიცნობ გამბიტში მის სვლებს, არ ვიცი, მაგრამ — „ცდა ბედის მონახევრეაო“.

ჯერ განვიხილოთ ვანო „ხერხემალ“ მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის ძლიერი მხარეები (შევთანხმდეთ, რომ დაფას ამჟამად მიშას მხრიდან ვუყურებთ).

მიშა ამით ეუბნება პოლიციელებს: — თქვე ოხრებო, ჩემს დასაცავად არ ანძრევდით ხელს, მაგრამ ახლა თქვენი საყვარელი ვანო გავამეფე და ებებ ახლა მაინც გაინძრეთ! დაარბიეთ მიტინგები, მეტი ცეცხლით და მგზნებარებით ეკვეთეთ ხალხს, ნურაფრის შეგეშინდებათ! ხომ ხედავთ, რომ უკვე ლამის ღიად და გამოცხადებულად პოლიციურ სახელმწიფოს ვაშენებთ და სადაც ვანო გახდა პრემიერ-მინისტრი, თქვენც შეგიძლიათ იოცნებოთ დეპუტატობაზე, გუბერნატორობაზე, გამგებლობაზე, კაი-კაი ბიზნესებზე...

მიშამ ამით უთხრა ყველას — შინაურს და გარეულს — მორჩით ახლა ამ საშინელ ჭორებს, რომ ვანო შეიძლება ივანიშვილს შეეკრას და გადმომაგდოს (!!!). დამიჯერეთ, და სხვებიც დააჯერეთ, რომ ვანო ჩვენია! მეტიც, ვანო ჩვენი ელმავალია!

თავად ვანოსაც უთხრა — ამაზე მეტს რაღას მოგცემდა ივანიშვილი, ვანო?! მაგას ხომ პრემიერ-მინისტრობა თავისთვის უნდა და მე კი ხომ ხედავ, რა გულუხვი ვარ შენს მიმართ! ეს პოსტი მალე ქვეყანაში №1 პოსტი იქნება კონსტიტუციით — შენია ეს ქვეყანა, ჩემო კარგო! ოღონდ ბიძინას არ დაუთმო და შენი იქნება — ისედაც და ასედაც...

ამერიკელებს უთხრა: აჰა, ბატონო, რომ გეშინოდათ ჩემი „გაპუტინების“! გაპუტინება რომ მდომებოდა, მე — დემოკრატიის შუქურას! — პრემიერ-მინისტრად ან თავად გავიქაჩებოდი, ან ვინმე მორიგ ჩვარს დავნიშნავდი! ვერ ვნახავდი კანდიდატებს, თუ? აგერ არაა სულ მომღიმარი დათო ბაქრაძე? აგერ არაა მრისხანე პიჟონი შაშკინი? აგერ არაა მდგრადი ვერა, რომელიც ყველაფერში თვალდახუჭული მემორჩილება?! მე კი, ხომ ხედავთ, როგორი ხისტი ხერხემალი დავსვი ამ ადგილზე?! ესეიგი, მე არ ვაპირებ გაპუტინებას! დაწყნარდით!..

ამით მიშამ გზავნილი გაუგზავნა რუსეთსაც (ტყუილად ხომ არ განაცხადა ბრიუსელში, — მალე რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება დაიწყებაო!). ყველამ იცის, რომ რუსეთში ვანოს აფასებენ, ის ხომ ერთადერთი ქართველი მინისტრი იყო დსთ-ში ყოფნის დროს, რომელსაც პატივი ხვდა წილად თავისი კოლეგების საბჭოს უფროსი ყოფილიყო და საქართველოში დსთ-ს შსს მინისტრების სამიტისთვისაც კი ემასპინძლა! რუშაილოსთან კარგი კავშირების გარდა, მერაბიშვილს ჰქონდა გარკვეული კონტაქტები სერგეი ივანოვთანაც და როგორც ნინო ზურიაშვილის ფილმი „მინისტრის მეგობარი“ აჩვენებს, მის ყველაზე სანდო ბიზნესპარტნიორებს, სწორედ რომ რუსეთში აქვთ დღეს სერიოზული ბიზნესი. მერაბიშვილს არასოდეს გამოუჩენია თავი ან ნატოსკენ მოწოდებებით, ან (ბოკერიასგან განსხვავებით) დასავლელ პარტნიორებთან რაიმე განსაკუთრებული კავშირებით (თუ შევარდნაძის დროს ნამთვრალევზე შევარდნაძის „ჩაშვების“ ეპიზოდს არ გავითვალისწინებთ). ამიტომ, სავარაუდოდ, დღევანდელი ხელისუფლებიდან, მერაბიშვილი სწორედ ის ფიგურაა, ვისაც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების შანსები ყველაზე მეტად აქვს.

ამერიკის ადმინისტრაციას (დემოკრატიამორჩილების გარდა, იხ. 4), გარკვეულად სხვა გზავნილიც გაუგზავნა: „არ გინდოდათ ჩემი დარჩენა და მოდით ახლა და, შემადარეთ მე — კოლუმბიის უნივერსიტეტდამთავრებული, დასავლურად მოაზროვნე, 5 ენაზე მოჭარტალე პოლიტიკოსი, და ეს — მობლუკუნე ტლუ რუსეთუმე, გირგვლიანის საქმეში გასვრილი მერაბიშვილი! და იქნებ ერთი წლის მერე კიდეც შემეხვეწოთ, ოღონდ ეს ნუ იქნება პრემიერ-მინისტრი და, ჯანდაბას — ისევ შენ დარჩი და ავიტანთ და არ მოგაძახებთ პუტინიზაციასო!“

ყველაზე სერიოზული გზავნილი მერაბიშვილის გაპრემიერება საკუთარი გუნდისადმი იყო. იმაში, თუ როგორი მოულოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება, ყველამ დაინახა, ისიც რომ მიშა მოულოდნელ სვლებში მართლაც განუმეორებელია და ისიც, რომ იგი უკვე ლამის არავის ენდობა. სასაცილო იყო არამარტო ნაცმოძრაობის ე.წ. ლიდერების დაბნეულობა და სურვილი, მიკროფონებს დამალვოდნენ, არამედ თავად შსს მაღალჩინოსნების ბლუკუნი მერაბიშვილის გაპრემიერებაზე და იმაზე, რას ფიქრობდნენ ან თავად რა გეგმები ჰქონდათ. მიშა გამბინომ თავისი პარტიის წევრებს, რომლებიც ბოლო ხანებში სულ უფრო ბევრს ჭორაობდნენ იმაზე, რომ მიშა დაბერდა, სახეშებიჟვინებულ მიკიტანს დაემსგავსა, ველარაფერს ვერ ახერხებს, ივანიშვილთან ხისტ და სწორხაზოვან ჭიდილში აშკარად აგებს, რომ დროა პარტიამ სხვა ლიდერზე გააკეთოს არჩევანი (ბოკერიაზე, ადეიშვილზე, მერაბიშვილზე, უგულავაზე...), ამ ნაბიჯით ნიშნი მოუგო და, სულ ცოტა, ორი დღის განმავლობაში ისევ აფიქრებინა — „მართლა მაგარია ეს შობელძაღლი!“... იმის მაგიერ, რომ პარტიულ სიებზე და ტაქტიკაზე, პოლიტიკურ სვლებზე და მიტელდშპილის პოზიციური უპირატესობის ნელ-ნელა დაგროვებაზე ეფიქრა (რაშიც თავად ხვდება, რომ არამცთუ ივანიშვილს, არამედ მაჭავარიანსაც კი ვერ შეედრება), მიშამ ისეთი გამბიტი ამოაგდო, რომ ყველა ნაციონალი სახტად დატოვა და აფიქრებინა — „გიჟი უძახე შენ და!..“ ამით მან მომენტალურად დაიბრუნა ნაციონალური მოძრაობის უპიროვნო და შეუდარებელი ლიდერის პოზიცია და აიძულა ყველა, რომ მის ამ პირუეტზე საპასუხო ნაბიჯი მოიფიქრონ.

დაბოლოს, სწორედ 30 ივნისის საღამოს ვანოს გაპრემიერებით, მიშამ მოსახლეობას ჰკითხა ნიშნისმოგებით, კიდევ გაბედავთ და 1 ივლისს მიტინგზე მიხვალთო?

ახლა კი გადავიდეთ იმ გამოწვევებზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დღევანდელმა გადაწყვეტილებამ შექმნა.

სააკაშვილმა სიცილიური დაცვის მეტ-ნაკლებად მდორე საჭადრაკო პარტია ამ ნაბიჯით უკიდურესად დაძაბა. მაგრამ, თუ მისი გაცხელებული ტვინი მართლა დუღილის ფაზაში არაა ჯერ, არ უნდა ელოდებოდეს, რომ კვანძის გახსნისას ყველაფერი სწორედ ისე მოხდება, როგორც მან საუკეთესო სიზმარში ნახა! ვნახოთ, რამდენად მომზადებულია მიშა გამბინოს ეს გენერალური შეტევა და შევეცადოთ, ჩამოვთვალოთ ის გამოწვევები, რომელიც მეც კი, ჭადრაკში და პოლიტიკაში უბირ ადამიანს, მომივიდა თავში და მერე სხვები, უფრო გამოცდილები, შეაფასებენ, რა დამავიწყდა და რა ვერ გავთვალე, ან — რაში გადავამლაშე. და იმასაც, ჩვენ ორიდან, რომელი უფრო მეტს თვლის და რომელი უფრო ახლოს ხედავს. ამ ნაბიჯებს (-) ნუმერაციით აღვნიშნავ, თუმცა ზოგიერთი მათგანი მხოლოდ მიშასთვისაა უარყოფითი და ჩემს გულისწუხილს ნამდვილად არ იწვევს... მაგრამ არის ისეთებიც, რომელიც მთლიანად ქვეყნისათვის რისკებს კიდევ უფრო ზრდის...

**(-1) პოლიციელთა უმრავლესობას ვანო შეიძლება მიაჩნდეს კარგ მენეჯერად, მაგრამ მათმა მინიმუმ მესამედმა მაინც, უკვე ისიც იცის, რომ მერაბიშვილის მენეჯერობა გახვრეტილი შაურიანი იქნებოდა ივანიშვილის მიერ პოლიციის დაფინანსების გარეშე!. უკვე დღეს აშკარაა, რომ პოლიციას თანდათან დაფინანსება მოაკლდა. სწორედ ამიტომაა, რომ გამგეობებმა და სამხარეო ადმინისტრაციებმა პოლიციის დასახმარებლად „საკუთარი ინიციატივით“ საკმაო თანხების გამოყოფა დაიწყეს (თუმცა, საკითხავია, რამდენ ხანს გაძლებენ, საეჭვოა). ამაზე ლაპარაკობენ ის პოლიციელებიც, ვისაც პრემიები უკვე შეუმცირდათ და ისინიც, ვის მანქანებსაც ბენზინის ლიმიტი ჩამოაჭრეს.** არაა გამორიცხული, პოლიციაში დაწყებული შემცირებები ვანოს გაპრემიერების შემდეგ უფრო გაძლიერდეს კიდეც. პოლიციელთა ნაწილმა შეიძლება სამართლიანად ჩათვალოს, რომ აწი პრემიერს მათთვის ისე აღარ ეცლება და მისი ინტერესები, როგორც მიშა გამბინომ მოხაზა, ახლა დასაქმება, საყვარელი სოფლის მეურნეობა, ლაზიკიზაცია და ზოგადად მთელი ქვეყნის (და უკვე არა მარტო — პოლიციის) მოვლა იქნება.

**(-2) ვანოს გაპრემიერებას პოლიციელთა ოცნებების გააქტიურება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, თუ ვანოს ადგილზე ამ სისტემისათვის ცნობილი კადრი მოვიდოდა. ასეთად მერაბიშვილის მარჯვენა ხელი,** როგორც ზოგი ამბობს, მერაბიშვილის „იდეური მასწავლებელი“ და ბიზნესპარტნიორი — ამირან მესხელი მოიაზრებოდა. ეს კი ნაკლებად სავარაუდო იყო (რატომ — მოგახსენებთ ქვემოთ). უფრო მეტი შანსი იყო, რომ ასეთ სერიოზულ სამინისტროს მიშა რომელიმე უკვე გამოცდილ მინისტრს ჩააბარებდა, ვისაც თავადაც ენდობოდა. ასეთებად ბაჩო ახალაია და დიმიტრი შაშკინი დასახელდნენ. ეს ასეც მოხდა და პოლიციაში საკმაოდ ბევრს დაცულობის შეგრძნება გაუქრა. ბაჩო ახალაიას სადიზმისადმი მიდრეკილებები ჯერ კიდევ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობიდან ცნობილია, და იგი თავის ძმასთან ერთად პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის ნაკლებად მისაღებ კადრად მოიაზრებოდა (ზოგადად მიზანთროპობის გამო იმდენად არა, როგორც უსაზღვრო ამბიციების და ჯარში „დაჩმორების“ მისეული ტაქტიკის დანერგვის გამო), ხოლო დიმა შაშკინი, რომელიც მერაბიშვილისთვის საუკეთესო არა, მაგრამ მისაღები ვარიანტი იქნებოდა, პოლიციის სათავეში სასაცილო გამოჩნდებოდა და ვერავის დააჯერებდა, რომ ერთი პეწენიკი მარიონეტი არაა მხოლოდ. არანაკლებ კომიკური იქნება შაშკინი არმიის სათავეში.

**(-3) თუ შსს მინისტრად მესხელი დაინიშნებოდა, მაშინ მართლაც დაიჯერებდა კაცი, რომ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი ვანოა, რომელიც პრემიერ-მინისტრიც გახდა და შსს-ც თან დაიტოვა.** სხვათა შორის, დაახლოებით მსგავს სიტუაციაში იქნებოდა შაშკინის გამინისტრების დროსაც, რომელიც ვანოს კაცად მოიაზრება. თუმცა, დალაგებული შსს შაშკინის ხელში შეიძლება არეულიყო. თანაც, რამდენად დარჩებოდა შაშკინი ვანოს კაცად, თუ შსს-ს გემოს გაუგებდა და მოჯდებოდა, ძნელი სათქმელია... ფაქტია, რომ ადეიშვილ-ბოკერიას ბანაკი არ იქნებოდა შაშკინისადმი „გულგრილი“). მესხელის დანიშვნაზე ორი პრობლემა იყო — (-3.1) თავად მიშას არ ენდომებოდა ვანოს ასეთი გაძლიერება. (-3.2) ეს ძალიან დააზარალებდა ბოკერია-ადეიშვილის ბანაკს, რომელთაც, იქედან გამომდინარე, რომ ძალოვნების გარდა, სხვა მინისტრებს უკვე პრემიერი ვანო დანიშნავს, ისედაც უმცირდებათ ჟანგბადის მარაგი.

**(-4) რაკი შსს მინისტრად მერაბიშვილის კრეატურა არ დაინიშნა და დაინიშნა მიშას ერთგული ბაჩო ახალაია, მაშინ ძალიან ადვილია იმის დანახვა (ყოველგვარი „ვანო მაგარია!-ს“ და ფეიერვერკების ფონზეც კი!), რომ ჩვენი ძვირფასი ხერხემალი კი არ დააწინაურეს, არამედ ძალების გარეშე დატოვეს და ფაქტობრივად — დაშალეს! შსს-ზე გავლენის გარეშე მერაბიშვილი ხერხემალი კი არა, მრისხანე ფიტულიღა იქნება და მისი რეალური ძალის შესუსტება და არეალის შემოფარგვლა მალე გამოჩნდება! სწორედ მაშინ, როცა 2013 წლისთვის პრემიერ-მინისტრობა ყველაზე დიდი პოსტად გადაიქცევა, მიშა ვანოს ახალაიების ხელით უმტკივნეულოდ მოიშორებს და საბაბი რა იქნება — გირგვლიანის საქმე, თაკო სალაყაიას სკანდალური ცხოვრება, თუ ვანოს კათოლიკობა, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.** ერთ რამეზე შევთანხმდეთ: მიხეილ სააკაშვილ-ბორჯიას თავისი გუნდის ყველა წევრზე აქვს სხვადასხვა სახის (ერთი ან რამდენიმე!) სერიოზული კომპრომატი, რომელსაც შავი დღისთვის ინახავს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათაც არანაკლები ექნებათ თავად სააკაშვილზე. მთავარი მხოლოდ ისაა, ვინ ვის დაასწრებს. **ასე რომ, თუ შსს-ში ვანოსთვის მისაღები კაცი არ რჩება, ე.ი. ვანო კი არ დააწინაურეს, არამედ დასრიალებას უპირებენ და მხოლოდ ის უნდათ, რომ ვანოს ხელით და სახელით არჩევნები მოიგონ (ან სულაც უარესი — არჩევნები გააუქმონ!** ამაზე ქვემოთ). ასე რომ, ეს პარაგრაფი (-4) მიშას შეგვიძლია ძალიანაც პლუსში ჩავუთვალოთ. ოღონდ ერთი პრობლემაა (-4.1) — **მერაბიშვილი სააკაშვილის ამ ვერაგულ გეგმებს, წესით, უნდა ხვდებოდეს და არაა გამორიცხული, თავისი სერიოზული თამაში დაიწყოს. ხოლო ახალაიას რამდენი დრო დასჭირდება ვანოს ერთგული კადრებისაგან პოლიციის გასაწმენდად, ან ამ კადრების თავის მხარეზე გადმოსაბირებლად, ეს საკითხავია.** ისეთი სწრაფი და სადისტური მეთოდებით წმენდას, როგორც მან ჯარში განახორციელა, შსს-ში ვერ გამოიყენებს — თან არჩევნებია (ჯერჯერობით მაინც) ახლო მომავალში, და სერიოზულ გართულებას შედარებით მოერიდება. და თან — წინააღმდეგობაც გაცილებით მეტი შეხვდება, ვიდრე წაგებული ომის შემდეგ შეთითხნილი საქმეებით დემორალიზებულ ჯარში.

**(-5) თუ ვანო მხოლოდ პრემიერ-მინისტრი გახდა და შსს-ზე ხელი აღარ მიუწვდება, ეს ვითომ დაწინაურებაა? ხომ აშკარაა, რომ შსს-ს გარეშე მერაბიშვილი თითქმის იგივეა, რაც გილაური იყო?!.. თუ უფრო უარესი — არა,** მაგალითად, საფერფლის სამიზნე — გოგა მგალობლიშვილი.



იხ. 4 გვ.

# სიცილიური თამაში (გამბინოს გამბიტი)

**(მესამე გვერდიდან)** აქამდე ვანო იცავდა მიშას და აწი ვანოს ვიღა დაიცავს? რა თქმა უნდა, **მერაბიშვილს ერთი საოცნებო მაინც რჩება, თუ 2013 წლამდე თავი მიიტანა, მერე მისი პოსტი უცებ დემეტრაშვილის ჯადოსნური საკონსტიტუციო ჯოხის შეხებით ქვეყნის უზენაესი მმართველის თანამდებობად იქცევა!** მაგრამ ნახეთ, რა დავალება მისცა მიშა გამბინომ უსაყვარლეს მინისტრს გაპრემიერებისას — უმუშევრობის ბეჭებზე დადება, სოფლის მეურნეობის აღორძინება... ეს ხომ ისეთი მისსიონ იმპოსსიბლე არის, რომელზეც კისრის მოტეხვა ძალიან ადვილია! მაშინ რა გამოდის? სანამ სააკაშვილს სჭირდება ქვეყნის სათავეში მეტ-ნაკლებად პოპულარული პრემიერი, მაშინ ვანო კარგია, ხოლო თუ ვანო არჩევნებს გადაუგორებს, რღვევის ბზარების მქონე ნაცმოძრაობას ასე თუ ისე შეაკოწიწებს, თავის ანგარიშებზე დაგროვილ დიდძალი ქონების საკმაო ნაწილს ნაცმოძრაობის სარეკლამო და მოსახლეობის მოსასყიდ თანხებად აქცევს, რუსეთსაც შემოირიგებს და ამერიკასაც არ გადარევს, ყველა დაშვებული და დაუშვებელი მეთოდებით არჩევნებს მოიგებს/გააყალბებს, ბაქრაძის, წიკლაურის, ხაბაზის, წერეთლის, ასანიძის და სხვა მორჩილი ჯაგლაგების რემიდან ისევ კეთილშობილ ინისტატუსების კალიგულასთვის მოსაწონ პარლამენტს დააკომპლექტებს, მაშინ რა მოხდება? რა და აქამდე ჩრდილში მდგარი მიშა გამოვარდება ავანსცენაზე, საკონსტიტუციო ცვლილებებს აამოქმედებს და ვანოს მადლიერი გულაჩუყებით ეტყვის — „მადლობა, ჩემო ერთგულო ხერხემალო! გეყო, რაც იტანჯე! წადი ახლა და დაისვენე ამ დამპალი პოლიტიკური თამაშებისგანო?!."

კიდევ ერთი ვარიანტი ისაა, რომ მიშამ აგვისტოში შეიძლება ახალი ომი გადმოაგდოს, გადადგეს, ქვეყანა ვანოს გადააბაროს, ხოლო თავად პარლამენტში კენჭი იყაროს. ხოლო როცა პარლამენტარი გახდება, მერე დემეტრაშვილს კიდეც ერთხელ გადააწერინოს საქართველოს ბედდამწვარი კონსტიტუცია იმ ვერსიაზე, სადაც უკვე პარლამენტის სპიკერი იქნება ჩაპო დი ჩაპი და სწორედ ამ თანამდებობის მოსაპოვებლად დაიწყოს ჭიდაობა... ამით დღეისთვის მსოფლიოში უნიკალური საკონსტიტუციო მოდელი, რომელსაც ვახტანგ ხმალაძემ „საპრემიერო რესპუბლიკა" უწოდა, აღარ ამოქმედდება და საქართველო „სასპიკერო რესპუბლიკად" გადაკეთდება — ინსიტატუსების კვორუმი და მისი ჯანი, ჯერჯერობით ხომ ისევ 2/3-ია საკონსტიტუციო უმრავლესობა!! ამ ახალ ვერსიას ის დიდი პლუსი ექნება მიშასთვის, რომ ამერიკელები და ევროპელები მას „პუტინის ვარიანტს" (ამ ცნების სიტყვასიტყვით გაგებით) ვეღარ დაარქმევენ! მაგრამ ეს ვარიანტი, აბსოლუტურად რეიტინგდაქვეითებული და გონებაგახურებული სააკაშვილისათვის კიდევ უფრო მისსიონ იმპოსსიბლეს ჰგავს, ვიდრე მერაბიშვილის დენ სიაო პინობა! ყველაფერ ზემოაღწერილში თითქოს სააკაშვილისათვის დიდი მინუსი არ ჩანს, მაგრამ მინუსი ისაა, რომ **მერაბიშვილს შსს მინისტრის გამოცხადებიდან, წესით 3 დღეზე მეტი არ უნდა დასჭირდეს იმის დასადგენად, თუ როგორი „პატივი სცა" მისი წყალობით 2007 წლის შემდეგ ძალაუფლებაში დარჩენილმა სააკაშვილმა და, თუ მე გუმანი არ მატყუებს, მერაბიშვილი გოგა მგალობლიშვილზე უფრო მორჩილი არ უნდა იყოს. მოკლედ, თუ მერაბიშვილი დარწმუნდა, რომ პრემიერ-მინისტრის სკამი საჩუქარი კი არა, სერიოზული ხაფანგია, მერე წესით საკუთარი თამაში უნდა დაიწყოს. რაც ძნელი იქნება, მაგრამ არც ისეთი უიმედო, როგორც სააკაშვილის საქართველოში უმუშევრობის ბეჭებზე დადება, ან ახალაიების მოწყალების იმედად ყოფნა...**

**(-6) ვანოს რუსეთისთვის გზავნილად გაპრემიერებას მაშინ ექნება აზრი, თუ თავად მიშა ჩემოდნის ჩალაგებას დაიწყებს. რაც არ უნდა ესიამოვნოს პუტინს ვანოს გაპრემიერება (და რომ არ ეწყინება, დარწმუნებული ვარ!), სააკაშვილისადმი მეგობრულ გრძნობებს და მადლიერებას ეს არ გაუღვივებს! კიდეც რომ შეხვდეს პუტინი ვანოს, არა მგონი, მიშას ხელისჩამორთმევის დღე დაუნიშნოს. ხოლო ვანოს პუტინთან შეხვედრასთან დაკავშირებული რისკები კი არსებობს.** მთელი 10 წელია, სააკაშვილი რუსეთის ხატით აშინებს საქართველოს მოსახლეობას და ნებისმიერ პუტინთან მოლაპარაკეს ერის მოღალატედ და ხალხის მტრად აცხადებს. ხოლო თუ მიშას მიერ კურთხეული ვანო პუტინს დაეზრასტება და მხიარულად გადაეხვევა, მაშინ რა გამოვა? — რა ნაცმოძრაობის მიერ ქვეყნის გამყიდველად შერაცხილი ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი და რა — ქვეყნის ხერხემალი ვანო, რომელიც სწორედ ამ ხერხემალს პუტინის წინაშე ნარნარად მოიდრიკავს?! როგორ გინდა მერე, მალაშხიას აუხსნა და წიკლაური დააწყნარო?

**(-7) მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს, და ისიც, მხოლოდ ზერელე ან გულუბრყვილო, დამკვირვებელს, რომ ივანიშვილის გაპრემიერებით თითქოს მიხეილ სააკაშვილი პუტინის გზას გაემიჯნა!** სინამდვილეში, თუ არ დავიზარებთ და გავიხსენებთ, პუტინს თავის დროზე ორი პოტენციური კანდიდატი ჰყავდა ტანდემოკრატიისათვის — „რბილი დემოკრატი" მედვედევი და „ხისტი ქორი" სერგეი ივანოვი. რამდენიმეთვიანი თითქოსდა ჭოჭმანის შემდეგ პუტინმა ფსონი მედვედევზე დადო, მაგრამ **მიშას პრობლემა ისაა, რომ თუ ის გადადგომას და პარლამენტში კენჭისყრას მართლაც აპირებს, ხელისუფლების სადავეების რბილ (უფრო სწორედ — დონდლო) ბაქრაძისათვის დატოვება იმ პირობებში, როცა მოსახლეობის უმრავლესობა უკვე აშკარად ბიძინა ივანიშვილს თვლის ქვეყნის მომავალ ლიდერად, თუნდაც — რამდენიმე თვით, ძალიან სარისკოა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველაფერი უფრო პროზაულადაა და მიშა გადადგომას და სარისკო თამაშს არ აპირებს.**

ბაქრაძე და მისთანანი ნაციონალურ მოძრაობას ვერ მოაგებინებენ. გარდა ამისა, თუ მიშა ვანოს პოლიციას ჩამოაშორებს, ამით, მისი აზრით, ვანოს შხამიან კბილებსაც ელეგანტურად დააძრობს და მისგან ისეთ ტანდემპარტნიორს მოზილავს, რომელიც გარეგნულად სერგეი ივანოვივით მრისხანე იქნება (ხალხისთვის), ხოლო შინაგანად მედვედევით რბილი და დამთმობი (მიშასთვის). სააკაშვილს თუ ამერიკელების მოსმენა და მათი აზრის გათვალისწინება უნდოდა, ივანიშვილის მსგავსად მასაც საკუთარი პარტიის კანდიდატების დასახელება დაეწყო, რესტორნებში ჩუმად კი არ უნდა აგრძელებდნენ საიდუმლო შეხვედრებს მისი პარტიის ბოსები, არამედ ღიად და სახალხოდ, და ჯამში — არჩევნების დემოკრატიზაციაზე უნდა ეზრუნა, და არა — სამ თვეში ახალი პარლამენტის მიერ ასარჩევი პრემიერ-მინისტრის სამი თვით ადრე დანიშვნაზე, რაც კიდევ ერთი ცინიკური ნაბიჯია აშშ ადმინისტრაციის მიმართ: „ვინც რა უნდა თქვასო, მიშიკომ კი ფქვასო..." ამით ხომ მიშამ ფაქტობრივად ცერცვად შეაყარა კედელს ობამას, კლინტონის, სარკოზის, რასმუსენის, და სხვათა მიერ მრავალჯერ გამეორებული თეზისი — საქართველოში 2012 და 2013 წლების არჩევნების დემოკრატიულად და ტრანსპარენტულად ჩაბარებას და ძალაუფლების კანონიერ გადაცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვსო. მიშას პასუხი ასეთია — საქართველოსთვის მთავარია, ვინ ატარებს და ვინ ითვლის არჩევნების შედეგებს (ხომ გახსოვთ, იოსებ ბესარიონის ძეც ზუსტად იმავეს ფიქრობდა დემოკრატიაზე!)

**(-8) რამდენად იყო მიხეილ სააკაშვილის კონსპირატორული სამთავრობო გადატრიალება გენიალური ნაბიჯი, და რამდენად — სასოწარკვეთილის ნახტომი ცეცხლმოდებული სასტუმროს მაღალი სართულიდან, ეს მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდება.** მე მხოლოდ ერთ რამეს გავუსვამ ხაზს: საკუთარ გუნდში დაწყებული „დვიჟენიები" ჯერ ბროუნის მოძრაობად რომ არ ექცეს, და მერე — საკმაოდ მიზანსწრაფულ გაქცევად, აუცილებელია, რომ გუნდის წევრები იზიარებდნენ ამ ნაბიჯის აუცილებლობას და სისწორეს. დემოკრატიულ ინსტიტუტებში კონსენსუსის მისაღწევად საკმაოდ მნიშვნელოვანია მოლაპარაკებათა და კომპორმისთა ურთიერთმონაცვლე ციკლების გავლა. ავტორიტარულ ინსტიტუტში კი ყველაფერი ერთი ან რამდენიმე კაცის ნებაზეა დამოკიდებული. **ნაციონალური მოძრაობა აქამდე ძირითადად ხუთეულის მიერ იმართებოდა — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, უგულავა.** როგორც ხედავთ, ამ ხუთეულში პრემიერ-მინისტრის ნასახი არაა. რა თქმა უნდა, იყო მომენტები, როცა ეს ხუთეული ფართოვდებოდა (ძირითადად, ადრე — კეზერაშვილის და, ბოლო დროს — ახალაიას ხარჯზე), ასევე იყო მომენტები, როცა ხუთეულის ზოგიერთი წევრი უფრო ნაკლებად იყო ამა თუ იმ პროცესის მონაწილე. **ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას სააკაშვილი იღებდა, მაგრამ არა მარტო, არამედ მაინც გუნდის წევრებთან (ერთი-ერთზე თუ საერთო) კონსულტაციის შემდეგ.** ასე იყო 2008 წლის აგვისტოს საბედისწერო დღეებში, მიუხედავად გავრცელებული ვერსიისა, რომ ამ გუნდის ერთდროულად რამდენიმე წევრი „შემთხვევით" თურმე არდადეგებზე ატარებდა დროს... **დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მალე გამოჩნდება, მეშლება თუ არა, რომ ჩემი ვარაუდით, ეს ბოლო გადაწყვეტილება სააკაშვილმა პრაქტიკულად მარტომ მიიღო.** რა თქმა უნდა, მან შემდეგ საქმის კურსში ჩააყენა ხუთეულის წევრები, მაგრამ ასე მგონია, რომ ყველას სხვადასხვანაირად აუხსნა მოტივაციები და რაც მთავარია — არა ის, რას იტყოდა 30 ივნისს, არამედ, რა მოხდება მერე! ვისაც აკუტაგავას ბრწყინვალე მოთხრობის მიხედვით გადაღებული აკირო კუროსავას დიდებული ფილმი „რაშემონი" უნახავს, მიხვდება, როგორ იცვლება ამბავი იმის მიხედვით, თუ ვინ და რა მოტივით ყვება მას. ვფიქრობ, სააკაშვილმა თავადაც არ იცის, რას და როგორ გააკეთებს საბოლოოდ და ის ფაქტი, რომ თავიდან ორშაბათს გამოცხადებული სამთავრობო კაბინეტის წარდგენა მერე სამშაბათისთვის გადაიდო, იმაზე მეტყველებს, რომ ან მიშა თავად არაა დარწმუნებული იმაში, მისთვის რა და ვინ აჯობებს, ან მას ამჟამად მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, ვიდრე ელოდა. ასე რომ ის, რაც თავიდან გენიალობის გაბრწყინებად ითვლებოდა, მალე შეიძლება იმპულსურობის კიდევ ერთ დადასტურებად გამოჩნდეს.



**(-9) ხალხმა მიშას გამოწვევას, აბა გაბედეთო, მცხეთაში ხალხმრავალი აქციით უპასუხა. კონკურენტულ პოლიტიკურ პროცესში ჩაბმის კატასტროფულად მოშიშარ სააკაშვილს სხვა არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ თავის ზონდერებს უკვე ახალაიას ხელით მართული პოლიციის რაზმები ოფიციალურად დაუმატოს. ეს კი მხოლოდ ორი რამის დასტური იქნება — მერაბიშვილი კი არ „დააწინაურეს", როგორც ეფექტური მენეჯერი, არამედ ჩამოაშორეს პოლიციას, რომელიც სააკაშვილის შეხედულებით, არასაკმარისად თავზარდამცემი იყო.** და ასევე იმას, რომ საკმაოდ შელანძღული მითი სააკაშვილის „დემოკრატობაზე" საბოლოოდ დაინგრევა და მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილი ზუსტად იქ იქნება, სადაც თავისივე სურვილით აღმოჩნდა ამ ორიოდ დღის წინათ — ლუკაშენკოს გვერდით.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ მე არ მყავს ინფორმატორი სამთავრობო წრეებში და რომ ის, რასაც მოკლე რეზიუმეს სახით მოგაწოდებთ, ჩემი ანალიზის შედეგია და არა საინფორმაციო შპიონაჟისა.

**ა) მიხეილ სააკაშვილი თავდაუზოგავად ცდილობს დაარღვიოს ის ლამის ტრადიცია, როცა მისი ყოველი თავდასხმა ბიძინა ივანიშვილზე მას გაცილებით ნაკლებ დივიდენდებს აძლევს, ვიდრე დანაკარგებს! მერაბიშვილის დანიშვნა პრემიერ-მინისტრად არის იძულებითი ნაბიჯი და მიხეილ სააკაშვილი ამას არაფრით დაუშვებდა 2011 წლის სექტემბრის ბოლოს, როცა ძალიან კარგად ჰქონდა წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებებით ლამის გარანტირებული მარადიული პრემიერობა.**

ბ) მიხეილ სააკაშვილი ამ ნაბიჯით აპირებს მოიგოს საპარლამენტო არჩევნები მერაბიშვილის ხელით, რომლის რეიტინგი ნამდვილად მეტია ნაცმოძრაობის რეიტინგზე (თუმცა გაცილებით ნაკლებია NDI-ის კვლევის შედეგებზე — ველის შერჩევის და მეთოდოლოგიის ცდომილების გამო). **მერაბიშვილის გაპრემიერებით სააკაშვილი ცდილობს უზრუნველყოს ნაცმოძრაობის უსახური პარტიული სიის რეიტინგის მეტ-ნაკლები ამაღლება** (ვანოს შხეფების გადმოსხურებით კუბლაშვილზე, ურუშაძეზე, კარბელაშვილზე და სხვა აბსოლუტურად დისკრედიტირებულ პოლიტიკანებზე), **ხოლო საპარლამენტო არჩევნების მოგების შემთხვევაში თავად ჩაანაცვლოს მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრის უკვე გაცილებით უფრო ძლევამოსილ პოსტზე.** ამავდროულად, არაა გამორიცხული სარეზერვო ვარიანტებიც — ბ1) მიშა ცდილობს მოახდინოს კონსტიტუციის ხელახალი რევიზია, იმდაგვარად, რომ არა პრემიერ-მინისტრი იყოს ყველაზე ძლევამოსილი, არამედ — პარლამენტის სპიკერი და თავად იყაროს კენჭი საპარლამენტო არჩევნებში (იმ პირობებში, როცა ქვეყანას მერაბიშვილი მიხედავს), ბ2) მოგონილი/გათამაშებული მიზეზით, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და გადადოს საპარლამენტო არჩევნები გაურკვეველი ვადით.

გ) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **მიხეილ სააკაშვილი ყველანაირად ეცდება, რომ არ გააძლიეროს ხელისუფლებაში არსებული სხვადასხვა ბანაკები. პირიქით, მოახდინოს მათი შეძლებისდაგვარად დასუსტება და არჩევნებისათვის კრიტიკული მასის მქონე თითქმის ყველა სამინისტრო სტრუქტურაში (განსაკუთრებით — ძალოვან სამინისტროებში) შეცვალოს ხელმძღვანელობა, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს საკუთარი გადაყენების შანსი. სწორედ ეს იყო ვანო მერაბიშვილის „დაწინაურების" საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი.** სააკაშვილს ექნება ძალიან სერიოზული ცდუნება, ასევე გადაანაცვლოს იუსტიციის მინისტრი ზურა ადეიშვილი და უშიშროების საბჭოს მდივანი — გიგა ბოკერია (თუნდაც მათთვის ადგილების გაცვლით). თუმცა მეეჭვება, რომ ამ ეტაპზე მან ეს მოახერხოს. მაგრამ ახლო მომავალში რომ ცდას არ დააკლებს, ესეც მალე გამოჩნდება.

დ) ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიების შედგენაში გადამწყვეტ როლს არ შეასრულებს არც ერთი ის პიროვნება, რომელთაც შემდგომში ამბიციაც და შანსიც ექნებათ, არ დაუშვან მიხეილ სააკაშვილის მოვლინება სამუდამო მმართველად (იქნება ეს პრემიერ-მინისტრის რანგში, როგორც ამჟამად მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილებით, თუ — პარლამენტის თავმჯდომარის როლში, სავარაუდო ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით) — ზურა ადეიშვილი, გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა. არაა გამორიცხული, ეს პროცესი დაევალოთ მიხეილ მაჭავარიანს ან პალიკო კუბლაშვილს.

დასკვნა: აღნიშნული ცვლილებები და ტაქტიკა გარკვეულწილად წარმატებული იქნება ნაციონალური მოძრაობის ფასადის შესალესად, მაგრამ ვერ მოახდენს მის შიგნით არსებული წინააღმდეგობების დაძლევას. ვანო მერაბიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილისაგან პლაგიატის წესით მითვისებული სოციალური თანასწორობის პრინციპები — სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა და სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა (აღარ ვამბობ არაფერს ისეთ პოპულისტურ „ინოვაციებზე", როგორიცაა დასაქმების სამინისტრო და ათასლარიანი ვაუჩერები), მიუღებელი იქნება ბოკერია-ადეიშვილ-ბენდუქიძის ლიბერტარიანული ფრთისათვის. ახალაიების მიერ დანერგილი ტერორის გადმოტანა შსს-ში და ხალხის დარბევების უალტერნატივო საარჩევნო მეთოდად გამოყენება ასევე ძნელად გასამართლებელი იქნება ყველა იმ პრონაცისათვის, ვინც თავს დასავლური ღირებულებების მატარებლად მიიჩნევს (ძალიან მაინტერესებს თამარ ჩერგოლეიშვილის კომენტარი მერეთის ინციდენტზე), არაფერს აღარ ვამბობ დასავლელ პოლიტიკოსებსა, დიპლომატებსა და მედიაზე. ვანო მერაბიშვილი, თუკი „მის" სამინისტროში ბაჩო ახალაიას თარეშს მოესწრება, ვერ იქნება გულგრილი და ვერ დაუდებს გულს დასაქმების და სოფლის აღორძინების ზეამოცანებს... ისევე როგორც ბაჩო ახალაიასაც არ მოეწონება „მის თავდაცვის სამინისტროში" მოგოგმანე შაშკინი.

საბოლოოდ კი ყველა, ნაცმოძრაობის გარეთაც და შიგნითაც, ქვეყანაშიც და უცხოეთშიც დაინახავს იმას, რაც დიდი ხანია, უკვე მრავალთათვის ცხადი გახდა: მიხეილ სააკაშვილს გულის ფიცარზე აწერია: „მე!.. მარტო მე!.. მხოლოდ მე!.. მხოლოდ ჩემთვის!.." — არც ერთი ზემოთ ხსენებული ნაბიჯი ხომ ქვეყნის და ხალხის ინტერესებს არ ემსახურება! სულაც — პირიქით!

**რაც მთავარია — დღეს ნაცმოძრაობის არც ერთი (!) ლიდერის სიტყვას და დაპირებას ფასი არ აქვს! თუ ბიძინა ივანიშვილი ხალხს დაჰპირდება საარსებო მინიმუმის გაზრდას და მინიმალური პენსიის აყვანას სწორედ ამ დონემდე, ხალხი ამას უფრო იჯერებს, ვიდრე ვანო მერაბიშვილის მიერ დაპირებულ 1000-ლარიან პენსიას! ბიძინა ივანიშვილს შეუძლია საერთოდ არაფერი დაჰპირდეს ხალხს, რადგან იგი დაპირების გარეშეც უამრავ სიკეთეს აკეთებდა (ხოლო ნათქვამი არს: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!"), მაშინ როცა ნაცმოძრაობის სიტყვა მხოლოდ 4 წელიწადში ერთადერთხელ ემთხვევა მათ საქმეს! ისიც მხოლოდ მაშინ გადმოაგდებენ სამათხოვროდ 20-ლარიან ვაუჩერს, თუ თავად 20 მილიონით გაატყავეს ხალხი უკვე...**

**სვლები და ტაქტიკა, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი თამაშობს, ტიპურია სიცილიური თამაშის იმ ვარიანტისათვის, რომლის სათავესთან ჯულიო პოლერიო, დონ პიეტრო კარერა, ფრანჩესკო კოზიო და სხვა ცნობილი იტალიელი მოჭადრაკეები კი არ მდგარან, არამედ ისეთი არანაკლებ ცნობილი სიცილიელი გროსმაისტერები, როგორებიც იყვნენ ჯუზეპე მასერია, სალვატორე მარანზანო, კარლო გამბინო...**

**პრობლემა ის არის, რომ ამ თამაშს, როგორც წესი დაბოლილები თამაშობენ და მისი მიმდევრები ე4 ცნის მაგიერ შემდეგი დებიუტით იწყებენ გამბინოს გამბიტს — „The World is Yours"**

**სოლომონ თერნალი,**
**For.ge**

ცვლილებები

# პარლამენტი სახელად „ვანო“



**ვანო მერაბიშვილს უფლებამოსილებებს უზრდიან. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, რომელიც პარლამენტში გუშინ დარეგისტრირდა, ამიერიდან მთავრობის კანცელარიას პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში შედის. ამასთანავე, კანონპროექტის თანახმად, მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი ნაცვლად კანონისა, მთავრობის რეგლამენტით განისაზღვრება.**

ამ საკანონმდებლო ცვლილებით ასევე იმ უფლებამოსილებათა სახეები დადგინდა, რომელთა დელეგირების უფლებით გადაცემის უფლებამოსილებაც პრემიერ-მინისტრს ექნება. ამდენად, საზოგადოების ნაწილში გაჩნდა განცდა, რომ ვანო მერაბიშვილის ჩამოპრემიერმინისტრება შეიძლება სულაც არ იყოს ჩამოქვეითება და მას უფრო მეტი უფლებამოსილებებიც მიენიჭოს, ვიდრე აქამდე ჰქონდა. თავად ის ნორმა, რომლითაც მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი ნაცვლად კანონისა, მთავრობის რეგლამენტით განისაზღვრება, აჩენს ეჭვებს, რომ ხელისუფლებას ზაფხულის პერიოდში რაღაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღება აქვს დაგეგმილი, რაც არ უნდა გახდეს საზოგადოების მსჯელობის და განხილვის საგანი და საჭიროა მიაჩუმათონ. მოგეხსენებათ, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც საზოგადოების პროტესტს იწვევს, სააკაშვილის გუნდი ძირითადად აგვისტოში ლებულობს ხოლმე, ანუ ისეთ დროს, როდესაც თბილისი პრაქტიკულად დაცლილია და საზოგადოების აქტივობა ნაკლებია. ამის ნათელი მაგალითი იყო ცნობილი საკონსტიტუციო ცვლილებები.

საზოგადოების მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ მერაბიშვილს როგორც არ უნდა გაუზარდონ უფლებები, ეს ბევრს არაფერს შეცვლის, რადგან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები რეალურად 2013 წლიდან იზრდება და ეს მხოლოდ რაღაც ზედაპირული ცვლილებებია.

პოლიტიკური ექსპერტი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ეს კი არის სერიოზული ცვლილება და პრემიერ-მინისტრის მეტ დამოუკიდებლობას აძლევს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება ვერ აუნაზღაურებს მერაბიშვილს იმას, რაც წაართვეს. ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ეს ნორმა ხელისუფლებამ იმისთვის მიიღო, რომ რაღაც საეჭვო გადაწყვეტილებების გახმაურებას მოერიდოს.

**„წინასაარჩევნო პერიოდში ბევრი რამ იქნება ისეთი, რისი გახმაურებაც ხელისუფლების ინტერესებში არ შედის, მაგრამ მე მგონი, კანონი ამ შემთხვევაში დიდად არ შეცვლიდა გახმაურების ხარისხს“,** – აღნიშნავს ექსპერტი.

სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებით ხელისუფლება ცდილობს სიტუაცია გაიმარტივოს. კერძოდ, როდესაც რაიმე ნორმა კანონით რეგულირდება, ეს კანონი პარლამენტმა უნდა განიხილოს, ამას უნდა მოჰყვეს დებატები, საზოგადოების მხრიდან გამოხმაურება, კანონპროექტის მედიაში გაშუქება და ა.შ. დღეს ინიცირებული კანონპროექტით კი ხელისუფლება ამ ყველაფერს თავს არიდებს და რაიმე საკითხის თავისი ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა რომ მოუნდება, ამას შიდა ბრძანებით გააკეთებს.

**„ჩემი აზრით, ეს არის მათი საქმიანობის გამარტივების და ოპერატიულობისთვის გაკეთებული. კანონის მიღებას პარლამენტის მიერ დამტკიცება სჭირდება, პარლამენტი კი ახლა შვებულებაში გადის, შესაბამისად, იმისათვის, რომ მერაბიშვილმა სიტუაცია დაილაგოს ისე, როგორც მას და მის პოლიტიკურ ინტერესებს სჭირდება, სასწრაფოდ ცვლიან ამ რეგულირების არეალს და მას ფაქტობრივად აძლევენ უფლებას ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომლებიც კანონით უნდა რეგულირდებოდეს. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის ძალაუფლების უზურპაცია“,** – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი **forge**-სთან საუბარში.

მისი თქმით, მერაბიშვილისთვის შიდა რეგულაციის უფლების მინიჭებით, პრაქტიკულად პარლამენტის უფლებებს აძლევენ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე ამ საკანონმდებლო ცვლილებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს, რადგან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებები მხოლოდ 2013 წლიდან ამოქმედდება.

**„კონსტიტუციაში ცვლილებები 2013 წლიდან შედის ძალაში და ამით პრემიერ-მინისტრს მართლაც რეალურად ეზრდება უფლებამოსილებები. ახლა რამდენადაც ამ ინფორმაციას გავეცანი, უბრალოდ რაღაც ტექნიკური ხასიათის შესწორებები შედის დებულებაში მთავრობის შესახებ. მთავარი ეს არ არის, მთავარია მიდგომა, ანუ ეს ფუნქციები რისთვის სჭირდება მერაბიშვილს და რა არის ამაში ჩადებული. ამას კი მალე დავინახავთ, მაგრამ მათი პროგრამა, ის რითაც ისინი დღეს გამოდიან, არის ხალხის მოტყუება და კიდევ ერთხელ თვალებში ნაცრის შეყრა. ხალხი ამას ძალიან კარგად ხედავს და ამიტომ მერაბიშვილს უფლებამოსილებები გაეზრდება, თუ შეეკვეცება, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ამ ხელისუფლების მიმართ ხალხის განწყობა, რომელიც მკვეთრად უარყოფითია“,** – ამბობს ზურაბ აბაშიძე.

იურისტი ეკა ბესელია ამ ფაქტს უფრო ზოგად ფორმატში აფასებს. მისი თქმით, მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად გადაყვანას თან ახლავს გარკვეული რყევები შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**„საზოგადოებაში არის მოსაზრება (რომელიც საკმაოდ საფუძვლიანია), რომ მერაბიშვილის პრემიერად გადაყვანა არ არის დაწინაურება და ეს არის იმის მიხედვით განლაგება, კრიტიკულ სიტუაციაში სააკაშვილი ვის უფრო მეტად ენდობა და რეალურად ვის აძლიერებს. დღეს პოლიციური ბერკეტების ახალაიასთვის გადაცემა სწორედ იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილმა მის სასარგებლოდ გადადგა ნაბიჯი იმისთვის, რომ ამ საპარლამენტო არჩევნებში მას გაცილებით მეტი გარანტიები ჰქონდეს“,** – ამბობს ეკა ბესელია.

იგი ფიქრობს, რომ პრემიერისთვის უფლებამოსილების გაზრდა უფრო ფორმალური ხასიათის არის, რეალურად და შინაარსობრივად კი არაფერი შეიცვლება, რადგან სააკაშვილი ქვეყანას მართავს არა ინსტიტუტებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება მას კონკრეტულ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ სააკაშვილს თავისი პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად რაც დასჭირდება, პოლიტიკურ ინსტრუმენტებს ამის მიხედვით გამოიყენებს, მიუხედავად იმისა, რა წერია კანონში.

**„ამ ხელისუფლების პირობებში არანაირი მნიშვნელობა აქვს, რომელ უწყებას რა ჩაეწერება, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ასეთი ფორმულირებები, ასეთი საკანომდებლო ბაზა არ მუშაობს, მას პატივს არ სცემენ და ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გადაწყვეტილებების მიღება პირადი პოლიტიკური სურვილებით ხდება“,** – ამბობს ბესელია.

რუსუდან კახეთელიძე




ინფორმაცია

## „მადნეული“ ბოლნისელებს წამლავს

**„მწვანეთა პარტიის“ ლიდერის გია გაჩეჩილაძის თქმით, მათ მოიპოვეს ენერგეტიკის სამინისტროსა და სააქციო საზოგადოება „მადნეულს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც „მადნეულს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ და განხორციელებულ ქმედებაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვიმმართველობის ორგანოების მიმართ არ დაეკისრებათ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.**

**გაჩეჩილაძის თქმით, ხელშეკრულების პირობები 2014 წლის 7 აპრილამდე მოქმედებს და ამ ხნის გამავლობაში „მადნეულის“ მფლობელმა რუსულმა კომპანიამ „კაპიტალ ჯგუფმა“ ბიუჯეტის სასარგებლოდ კომპენსაცია 13 მლნ ლარი უნდა გადაიხადოს.**

**გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მადნეულის კომბინატის ტოქსიკური ელემენტებით დაბინძურებულია მდინარე კაზრეთულას წყალი, რომლითაც ირწყვება ბოლნისის 15 სოფლის სავარგულები, შესაბამისად ბინძურდება ნიადაგი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რასაც ადასტურებს ოფიციალური კვლევებიც.**

**გია გაჩეჩილაძე „კაპიტალ ჯგუფთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას და ეკოციდის მომწყობი სუბიექტების დასჯას მოითხოვს.**

ინტერპრესი

## პრეზიდენტის კლანების მარში

**საქართველოს პარლამენტმა ახალ მთავრობას ნდობა გამოუცხადა.**

**მინისტრების ვინაობა, პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე სამი დღით ადრე იყო ცნობილი. ამდენად, თავდაცვის სამინისტროში უკვე იცოდნენ, რომ მათი ახალი ხელმძღვანელი შაშკინი იქნებოდა და სამხედროები ამით კმაყოფილებიც იყვნენ. განსხვავებული სიტუაციაა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც ბაჩო ახალაიას მისვლა სულ არ გახარებიათ.**

შეგახსენებთ, როდესაც 2009 წლის აგვისტოში ახალაია თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, მაშინ სააკაშვილს ამ უწყებაში ნდობის პრობლემა ჰქონდა. აგვისტოს ომის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში სერიოზული უკმაყოფილება იყო ქვეყნის ხელისუფლების მიმართ და სააკაშვილს იქ თავისი გავლენის გაზრდა და უწყებაზე კონტროლის დამყარება სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ თავდაცვის მინისტრად ახალაია დაინიშნა, რომელმაც სამინისტროში „წესრიგი“ დაამყარა. მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თავდაცვის სამინისტროდან 150-მდე ოფიცერი დაითხოვეს, რომლებსაც სერიოზული კვალიფიკაცია და გამოცდილება ჰქონდათ და ძირითადად ახალბედა სამხედროები დატოვეს, რომელთა კონტროლი ახალაიას უფრო გაუადვილდებოდა.

გარდა ამისა, იმ პერიოდში სამხედროები ახალაიას მიერ სამინისტროს პოლიციური მეთოდებით მართვაზე ალაპარაკდნენ, რაც მოსმენებს, კაბინეტებში ე.წ. „ჟუჩოკების“ დამონტაჟებას და სხვა ამგვარ ღონისძიებებს მოიცავდა. მართლაც, თავდაცვის სამინისტრო „არასანდო“ კადრებისაგან გაიწმინდა, საზოგადოებისთვის მაქსიმალურად დაიკეტა და სააკაშვილის მორჩილიც გახდა. ამგვარად, ახლა, ალბათ, აღარც მუხროვანის ამბოხის მსგავსი მოვლენების უნდა ეშინოდეს პრეზიდენტს და არც რაიმე სახის დაუმორჩილებლობის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რთული მისახვედრი არ არის, რატომ დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად ბაჩო ახალაია. იგი, როგორც საქართველოში ხშირად აღნიშნავენ, ყველაფრის მკადრებელი და ყველა ბრძანების უსიტყვო შემსრულებელია. მისი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ უწყებას ვანო მერაბიშვილის კადრები ტოვებენ. სამინისტროდან ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი წავიდა და მან ეს ინფორმაცია მედიის წარმომადგენლებთანაც დაადასტურა, თუმცა თავისი მომავალი სამუშაო ადგილი არ გაამჟღავნა. ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თანამდებობები მინისტრის მოადგილე ამირან მესხელმა და სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმაც დატოვონ. ამასთანავე, კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ რამდენიმე დეპარტამენტის უფროსმა სამსახურიდან წამოსვლის შესახებ განცხადება დაწერა. სამინისტროში ჯერ არ აკონკრეტებენ, ვინ დატოვებს თანამდებობას და ვინ შეინარჩუნებს.

**ამ ყველაფერთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს, პირველის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვანო მერაბიშვილის კადრები მოდიან. ხოლო მეორე ვერსიით, პროფესიონალებს, რომლებიც სამინისტროში მუშაობენ და ვისაც ღირსება ცოტათი მაინც შერჩათ, ბაჩო ახალაიასთან თანამშრომლობა არ სურთ. არსებობს მესამე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ეს ყველაფერი ოპოზიციის თვალის ასახვევად და მის მოსადუნებლად კეთდება, რათა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ხელისუფლების რღვევის პროცესი იწყება.**

**რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები აღნიშნულ საკთხთან დაკავშირებით, ამ კითხვით რამდენიმე მათგანს მივმართეთ.**

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ფიქრობს, რომ შესაძლოა, ამ საკადრო გადაადგილებებით შსს-ში ვანო მერაბიშვილის პოზიციების შესუსტება მიმდინარეობს.

**„შესაძლოა, ამით მერაბიშვილისთვის ამ რეპრესიული აპარატის ჩამორთმევა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძალაუფლების გადანაწილება მიმდინარეობს. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი რგოლი რეალურად იცვლება. საქართველო პოლიციური სახელმწიფოა და თუ მერაბიშვილს ეს ძალაუფლება მართლაც წაართვეს, ის ვაუჩერები შეუძლია ერთ ადგილას გაიკრას“,** — აცხადებს კახა კუკავა **for.ge**-სთან საუბარში.

# ბაჩო ახალაია - სააკაშვილის ლუკა ბრაზი



რაც შეეხება ამ პროცესებში ბაჩო ახალაიას როლს, კახა კუკავა საქართველოში მიმდინარე პროცესებს სიცილიური მაფიის ქმედებებს ადარებს.

**„გინახავთ, ალბათ, ფილმები სიცილიურ მაფიაზე, როგორ არის მაფიოზური კლანები მოწყობილი. იქ არის კონსოლიერი, რომელიც მაფიის ბოსს რჩევებს აძლევს და რაღაც ქაღალდების საკითხებს განაგებს, და არიან ე.წ. „კაპოები“, რომლებიც ჩვეულებრივი მკვლელები არიან და მათი ძალაუფლება მხოლოდ ამით განისაზღვრება. კონსოლიერი კი დგას მაღლა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამ „კაპოებს“ შეუძლიათ ნებისმიერ დროს ადამიანი გაანადგურონ. საქართველოს ხელისუფლებაშიც დღეს არის მაფიოზური სტრუქტურა. ვანო მერაბიშვილი სააკაშვილმა გადაიყვანა კონსოლიერად და მას პოლიტიკური საკითხების პირდაპირ გადაწყვეტა დაევალება, მაგრამ იმ რგოლში, ვისაც ადამიანების მოკვლა შეუძლია (შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურები), სააკაშვილმა „კაპოებად“ თავისი ლუკა ბრაზი და ამგვარი პირები გაამწესა. ახალაიას ეს ფუნქცია აქვს, მას არ აქვს დიდი პოლიტიკური ძალაუფლება. დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს მას არც კი ეძახიან“,** — ამბობს კუკავა.

მისი თქმით, როდესაც სააკაშვილს ვინმე მოშორება დასჭირდება, ამას ახალაიას დაავალებს და არა მერაბიშვილს და კუკავა ფიქრობს, რომ სააკაშვილი თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, როდესაც ამგვარ დავალებებს ახალაიას აძლევს და არა ვინმე სხვას.

აქვე კახა კუკავა აცხადებს, რომ გამდიდრების შემდეგ ადამიანების ამბიციები იკლებს. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილი ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდა, შემდეგ კი მილიარდერი გახდა, თუ ადრე იგი მიტინგების დარბევის და ადამიანების მოკვლის შესახებ ბრძანებებს უპრობლემოდ ასრულებდა, დღეს ის მილიარდერია და მის სტატუსთან ეს ყველაფერი შეუთავსებელია. ახალაიები, კი რომლებსაც ეს ყველაფერი მისაღწევი აქვთ, ამგვარ დავალებებს უპრობლემოდ ასრულებენ.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე **for.ge**-სთან საუბარში აცხადებს, რომ სამინისტროდან თანამშრომლების წამოსვლა იმაზე მიუთითებს, რომ ერთგულების ეჭვი არა მხოლოდ მერაბიშვილის მიმართ, არამედ მთლიანი სისტემის მიმართ არსებობდა.

**„გახსოვთ, ალბათ, ანალოგიური ეჭვი თავდაცვის სამინისტროს მთლიანი სისტემის მიმართაც არსებობდა, როცა იქ ახალაია მიუშვეს. მაშინ იქაც კადრების ცვლა დაიწყო და, ალბათ, იგივე პროცედურაა დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში“**, — აცხადებს ექსპერტი.

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მიმდინარე პროცესები კიდევ ერთი დასტურია გავრცელებული მოსაზრებისა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალაიების კლანი მერაბიშვილს არ ემორჩილება. ცაგარეიშვილი ხელისუფლებაში კლანურ დაპირისპირებასა და ძალთა გადანაწილებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ახალაიები უშუალოდ ვანო მერაბიშვილს არც არასოდეს ემორჩილებოდნენ.

**„ახალაიები მხოლოდ ერთ ადამიანს ემორჩილებიან და არიან მის წინაშე ანგარიშვალდებულები და ეს ადამიანი არის მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ახალაიას შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლამ კადრების დენადობა გამოიწვია. წარმოუდგენელია მერაბიშვილის ერთგულმა ხალხმა ახალაიასთან ერთად მოძოვოს“,** — ამბობს გია ცაგარეიშვილი.

მისი აზრით, მერაბიშვილი ამ ადამიანებს სხვადასხვა სტრუქტურებში გადაანაწილებს, ახალაია კი შეეცდება შინაგან საქმეთა სამინისტროში თავისი ერთგული კადრები მოიყვანოს და იქიდან მერაბიშვილის კადრებს „ფეხი ამოუკვეთოს“.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე **for.ge**-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს, საარჩევნო კამპანიას აგრძელებს და კოალიციის წარმომადგენლებისთვის არანაირი მნიშვნელობა აქვს, ვინ სად დაინიშნება. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროდან კადრების დინებას, მანანა კობახიძე აღნიშნავს, რომ როდესაც ინიშნება ახალი მინისტრი, როგორც წესი, ის ძველს კადრებს სამსახურიდან ანთავისუფლებს.

**„ამ ხელისუფლებაში ყოველთვის ასე ხდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, სავარაუდოდ, თვლიან, რომ ახალაიას მაინც თავისი კადრები ეყოლება და სამსახურის დატოვება მაინც მოუწევთ. ამიტომ, თავისი ნებით წერენ განცხადებებს წამოსვლასთან დაკავშირებით. მეორე ვერსიაც არსებობს, რომ მათ ახალაიასთან მუშაობა არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვერ გეტყვით, ამ ადამიანებს ვინმე კარნახობს განცხადებების დაწერას, თუ ისინი ამას თავისი სურვილით აკეთებენ. ფაქტია, რომ რაღაც გადაადგილებები ხდება, მაგრამ ეს ჩვენ არც გვაინტერესებს, არც გვაღელვებს, რადგან მორიგ კარუსელს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ხელისუფლება მთლიანად უნდა შეიცვალოს, ეს მოხდება ოქტომბერში და ამას „ქართული ოცნება“ გააკეთებს“,** — ამბობს კობახიძე.

**რუსიკო უშიკიშვილი**

## პური ჩვენი არსობისა

# არჩევნები და ადგილობრივი მოსავალი პურის ფასს დაიჭერს

**თუ მსოფლიო ბაზარზე მორიგი ნახტომისებური ზრდა არ დაფიქსირდა, საქართველოში ზაფხულის განმავლობაში პურპროდუქტები არ გაძვირდება. თანაც წელს არჩევნებია და პურის გაძვირება ხელისუფლებისთვის ყელში დანის გამოსმის ტოლფასი იქნება.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და მომწოდებლებმა ხორბალზე ფასები გაზარდეს, ჯერჯერობით, მდგომარეობა საგანგაშო არ არის.

**საერთაშორისო ბაზრებზე ხორბალი გაძვირდა. ბოლო მონაცემებით, ჩიკაგოს ბირჟაზე ხორბლის ფასმა რეკორდულად მოიმატა. სოიოს ფასი ტონაზე 18,5 დოლარით გაიზარდა, ანუ ღირებულებამ ტონაზე 525 დოლარი შეადგინა. ხორბალი კი 18%-ით გაძვირდა, რაც სპეციალისტების თქმით, ბოლო 2 წლის მაქსიმუმია.**

**საერთოდ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩიკაგოს ბირჟაზე ფასების ნახტომისებური მატება დაფიქსირდა, თუმცა ბოლო დღეებში ხორბლის ფასები 5%-ით დაეცა.**

ივნისის შუა რიცხვებიდან მოყოლებული ხორბლის ფასი ერთ ტონაზე 50 დოლარით არის გაძვირებული. ჯერჯერობით, საქართველოში ხორბალსა და ფქვილზე ფასები არ შეცვლილა, თუმცა, მწარმოებლების ნაწილის შეფასებით, თუ საერთაშორისო დინამიკა ზრდისკენ წავა, ფასების კორექტირება საქართველოშიც მოხდება.

**მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის პერმანენტული ზრდა 5 ივნისიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ჩიკაგოს ბირჟაზე 1 ტონა ხორბლის ფასი 51,7 დოლარით, ლონდონის ბირჟის მონაცემებით კი 32,2 დოლარითაა მომატებული.**

**ბოლო პერიოდში მსოფლიოში ხორბლის ფასის ზრდა, ძირითადად, იმპორტიორ ქვეყნებში გვალვიანმა ამინდებმა განაპირობა. გაჩნდა მოსავლის შემცირების საფრთხე, რაც პროდუქტის ფასზეც აისახა. მაგალითად, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გვალვის გამო, მოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილი გაფუჭდა.**

**გარდა ამისა, ხორბლის ფასზე გარკვეულ გავლენას ხორბლის მოსავლის პროგნოზიც ახდენს. მეხორბლეთა საერთაშორისო საბჭოს გათვლებით, 2012-13 წლებში მსოფლიოში ხორბლის საერთო მოსავალი 5 მილიონი ტონით შემცირდება, არსებულ მარაგები კი — 8 მილიონი ტონით.**

მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა საუბრისას განმარტავს, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ აქვს, ამიტომ ეს ადგილობრივ ბაზარზე გავლენას ნაკლებად მოახდენს. ამასთან, საქართველო უკვე წლებია, ძირითადად, რუსულ, უკრაინულ და ყაზახურ ხორბალს მოიხმარს, ამდენად, ჩიკაგოს ბირჟაზე დაფიქსირებული ზრდა ჩვენთა ნაკლებ გავლენას იქონიებს.

**„მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა სისტემატიური არაა. საქართველოს ხორბლის მარაგები აქვს, ამდენად საერთაშორისო ბაზარზე ფასის ცვლილება ჩვენთან პროდუქტებზე ფასების ცვლას არ იწვევს. გარდა ამისა, ჩვენ გეოგრაფიულად მიბმული ვართ რუსეთზე, უკრაინასა და ყაზახეთზე. თუმცა, წლეულს საქართველოში უკრაინული ხორბალი საერთოდ არ შემოსულა, რადგან ერთსა და იმავე ხარისხის ხორბალზე რუსეთს და ყაზახეთს უფრო დაბალი ფასი აქვთ, ვიდრე უკრაინას“,** — აცხადებს სილაგავა.

პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელის მალხაზ დოლიძის განმარტებით, ბოლო პერიოდში საქართველოში ფქვილის ფასი გაზრდილია, თუმცა, ეს, ჯერჯერობით, პურის ფასზე არ ასახულა. მისი თქმით, საქართველოში პურის ფასი გაიზრდება თუ ერთი ტომარა ფქვილის ფასი 35-37 ლარს გადააჭარბებს. დღეს კი ერთი ტომარა ფქვილის ფასი, საშუალოდ, 33 ლარია.

**„ბოლო პერიოდში საქართველოში ფქვილმა დაახლოებით 2 ლარით მოიმატა. თუ ადრე ტომარა 31 ლარი ღირდა, დღეს მისი ყიდვა 33-34 ლარადაა შესაძლებელი, მაგრამ ეს ჯერჯერობით პურის ფასზე არ ასახულა.**

**საერთოდ, პურის გაძვირება მტკივნეული საკითხია, ამიტომ მეწარმეები ფქვილზე ფასის მატების დროს ცდილობენ, რომ ფასი სხვადასხვა მეთოდებით დაარეგულირონ“,** — ამბობს დოლიძე.

სპეციალისტთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორბლის ადგილობრივ მოსავალს მცირე წილი უჭირავს, ის გარკვეულწილად მაინც განსაზღვრავს ფასს. ახლა კი ხორბლის აღების დრო უკვე საქართველოშიც მოვიდა და ადგილობრივ ბაზარზე ფასი მეტ-ნაკლებად სტაბილური იქნება.

**ეკა ბაქრაძე**

SIC!

# „ქართული ოცნების“ პარტიები სანქციების მოლოდინში

**„ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს კონტროლის პალატის ოქმის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმების გადახდის ვადა ამოეწურათ. შედეგად, ჯარიმის გადაუხდელობის გამო, შესაძლოა აღსრულების ღონისძიების სახით, პარტიების ქონებასა და საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადონ. უშედეგო აღმოჩნდა კოალიციის ადვოკატების მცდელობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაეუქმებინათ სააპელაციო სასამართლოში.**

სულ, კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, კოალიციაში შემავალ 6 სუბიექტს 2 მილიონ 400 ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრა. რატომ არ გადაიხადეს ჯარიმა კოალიციაში შემავალმა პარტიებმა და რა სახის სანქციები შეიძლება გატარდეს მათ მიმართ?

კონტროლის პალატის მტკიცებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა პოლიტიკურმა პარტიებმა და თავად საზოგადოებრივმა მოძრაობა „ქართულმა ოცნებამ“ კომპანია „მენეჯმენტ სერვისისგან“ თითქმის ნახევარი მილიონი ლარის უსასყიდლო მომსახურება მიიღეს. საუბარია კომპანიის მიერ პარტიებისთვის ოფისების დაქირავებასა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე. ამონარიდი კონტროლის პალატის მიერ გავრცელებული განცხადებიდან: **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 271-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ შემოწირულების მიღებით ირღვევა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები, პარტია ვალდებულია თანხა 5 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, პარტიას კი დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა“.**

შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ პარტიის უძრავ-მოძრავი ქონება, თუკი ასეთი არსებობს, მიცემულ იქნეს აუქციონზე იმ დაკისრებული თანხის გადახდის მიზნით. თუ ეს განხორციელდება, სამართლებრივად არსებობს შესაძლებლობა ასევე ოფისებიდან პარტიების გამოძევების... არჩილ კბილაშვილი

საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებასა“ და კოალიციაში შემავალ კიდევ ექვს სუბიექტს, ჯამში, ორნახევარი მილიონი ლარის ჯარიმა, ანუ ეგრეთ წოდებული შემოწირულების ხუთმაგი ოდენობის თანხის გადახდა დაეკისრათ. ამ გადაწყვეტილებას, რომელიც ჯერ საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა, ხოლო შემდეგ სააპელაციომ დატოვა ძალაში, უკანონოდ მიიჩნევს კოალიცია „ქართული ოცნების“ ადვოკატი ალექსანდრე ბარამიძე, რომლის თქმითაც, პარტიების მიერ შემოწირულების მიღების ფაქტი დადგინდა სხვა საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით, როცა მხარეებად გამოდიოდნენ კონტროლის პალატა და „მენეჯმენტ სერვისი“: **„არსებობს სამოქალაქო საპროცესო კანონის ნორმა, რომელიც აცხადებს, რომ სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტები შეიძლება აპრიორი მიჩნეული იქნეს დამტკიცებულად, ოღონდ იმ პირობით, თუ ამ მეორე საქმეზე იგივე მხარეები არიან. ამ შემთხვევაში სულ სხვა მხარეები არიან (იყვნენ „მენეჯმენტ სერვისი“ და კონტროლის პალატა, ახლა კი - პარტიები და კონტროლის პალატა) და ამ სულ სხვა მხარეებზე გავრცელდა იმ სასამართლოს დასკვნები, ფაქტები და ასე შემდეგ, რომლებშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს არის ყველაზე დიდი, უხეში და პირდაპირი დარღვევა კანონის.“**

ალექსანდრე ბარაძიმის თქმით, დაჯარიმებულმა პარტიებმა უარი თქვეს ჯარიმის გადახდაზე, რის მიზეზადაც კოალიცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ ორი გარემოება დაასახელა: **„ერთი ის, რომ დაკისრებული ჯარიმა გახლავთ აბსოლუტურად უკანონო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, და მეორე ის, რომ პარტიას ანგარიშზე ნამდვილად არ გააჩნია არათუ ეს თანხა, არამედ ბევრად ნაკლებიც.“**

ხელისუფლების მცდელობა, რასაკვირველია, მიმართულია იქით, რომ შეუძლებელი გახადოს საარჩევნო კამპანიის ჩატარება... მაგრამ ჩვენ საარჩევნო კამპანიას მაინც არ შევწყვეტთ, იმიტომ რომ კიდევ გვაქვს კანონიერი გზები, რათა ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი საარჩევნო კამპანია... მაია ფანჯიკიძე



კოალიციის კიდევ ერთი დამფუძნებელი, ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ვარაუდობს, რომ ამგვარი პრინციპულობის საზღაური პარტიების ოფისებიდან გამოძევება და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება შეიძლება იყოს. და კიდევ: **„შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ პარტიის უძრავ-მოძრავი ქონება, თუკი ასეთი არსებობს, მიცემულ იქნეს აუქციონზე იმ დაკისრებული თანხის გადახდის მიზნით. თუ ეს განხორციელდება, სამართლებრივად არსებობს შესაძლებლობა ასევე ოფისებიდან პარტიების გამოძევების.“**

კონტროლის პალატა „ქართული ოცნებისა“ და კოალიციაში შემავალი პარტიების დაჯარიმებას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ხსნის. ამასთან, კონტროლის პალატას ზურგს უმაგრებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, თუმცა ყველა ამ არგუმენტის პასუხად, კოალიციის პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე აცხადებს, რომ საქმე გვაქვს არა კანონის აღსრულებასთან, არამედ პოლიტიკური ოპონენტის დევნასთან.

**„ხელისუფლების მცდელობა, რასაკვირველია, მიმართულია იქითკენ, რომ შეუძლებელი გახადოს საარჩევნო კამპანიის ჩატარება და ყველაფერი, ყველა უკანონო ქმედება, რომელიც განხორციელდა ბოლო პერიოდის განმავლობაში, ემსახურება ამ მიზანს, მაგრამ ჩვენ საარჩევნო კამპანიას მაინც არ შევწყვეტთ, იმიტომ რომ კიდევ გვაქვს კანონიერი გზები, რათა ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი საარჩევნო კამპანია“,** — უთხრა მაია ფანჯიკიძემ რადიო თავისუფლებას.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

ინფორმაცია

## მიწების უკანონო გასხვისებაში ადანაშაულებენ

**როგორც პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად, ჩვენს წინაპართა სისხლით გაპოხილ ქართულ მიწებს კაპიკების ფასად მასობრივად ეპატრონებიან ბურები, არაბები, ჩინელები, თურქები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები.**

**— საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს მზაკვრული გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის შესაბამისადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქართული მიწების დასაკუთრების უფლება დაუკანონა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც „შადიმანის აქტი“, — განაცხადა ძაგანიამ.**

**მისი თქმით, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც კატეგორიულად კრძალავს მიწების გასხვისებას. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში არც ერთი გოჯი ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება.**

ინტერპრესი

მოსაზრება

# მერაბიშვილის გასაძლიერებლად თუ დასამშვიდებლად?

**მერაბიშვილი ჯერ პრემიერ-მინისტრად დამტკიცებულიც არ იყო, რომ პარლამენტში პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ კანონპროექტი შევიდა და პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კიდეც.**

მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის თანახმად „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში რამდენიმე ცვლილება შედის.

**ცვლილებების თანახმად, მთავრობის კანცელარიის უფროსის ნაცვლად, კანცელარიას პრემიერი უხელმძღვანელებს; მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი კანონის ნაცვლად მთავრობის რეგლამენტით განისაზღვრება; ცვლილებებით განისაზღვრა ასევე იმ უფლებამოსილებათა სახეები, რომელთა დელეგირების უფლებით გადაცემის უფლებამოსილებაც ეძლევა პრემიერ-მინისტრს.**

მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი ამბობს, რომ „მთავრობას სჭირდება ისეთი მექანიზმები, რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილებების სწრაფ, მოქნილ მიღებას“ და ეს ცვლილებებიც ამით არის განპირობებული.

**„ჩვენი ხალხი ხელისუფლებისაგან სწრაფ მოქმედებებს ელოდება. ეს ცვლილებები ტექნიკურ, მაგრამ შინაარსობრივ საკითხებს უკავშირდება. შედეგად მთავრობის ფუნქციონირებისთვის სწრაფი და მოქნილი მექანიზმები ჩამოყალიბდება“,** — ამბობს გია ხუროშვილი.

ექსპერტები კი ამბობენ, რომ **„ეს ერთმნიშვნელოვნად პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გაძლიერებას ნიშნავს და იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ტოტალიტარიზმის ხაზი ძლიერდება“.**

სწორედ ამიტომ დავინტერესდით, რას ფიქრობს ამაზე პარლამენტი და რატომ დათანხმდა ასე უპრობლემოდ ამ საკითხის გატანას. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ამ თემაზე საუბარი არ სურს და ძირითადად იმას იმეორებენ, რა განმარტებაც გია ხუროშვილმა გააკეთა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **პავლე კუბლაშვილი:** პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები ვერ გასცდება იმ კონსტიტუციურ ჩარჩოებს, რომელიც დადგენილია კონსტიტუციით და აქ არის ცალკეულ შემთხვევებში ოპტიმიზაციაზე საუბარი. ყოველ შემთხვევაში, იმ ნორმებზე, რომელიც არეგულირებს მთავრობის სხდომის გამართვის საკითხებს, ცალკეულ ტექნიკურ დეტალებს და ა.შ.

შესაბამისად, უფლებამოსილებები ისეთივე რჩება, როგორიც აქამდე ჰქონდა პრემიერს და მოხდება ცალკეული ნორმების გადასინჯვა იმისთვის, რომ უფრო ოპტიმალური პირობები არსებობდეს მთავრობის სხდომის გამართვისთვის, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის და, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანია მთავრობის ეფექტიანი საქმიანობისთვის.

აქ არ არის საუბარი კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებების გაზრდაზე. პრემიერის უფლებამოსილებები რაც იყო, იგივე რჩება. უბრალოდ, ხდება ამ ნორმების ოპტიმიზაცია იმისთვის, რომ უფრო ეფექტიანი იყოს მთავრობის საქმიანობა. უფრო მარტივი იყოს მართვა და, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ის პროგრამა, რომელიც დღეს იყო წარმოდგენილი, უფრო ეფექტურად განხორციელდეს.

**— კანონის ნორმა ხელს უშლიდა, რომ ეფექტიანი ყოფილიყო?**

— არა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, ხელის შეშლაზე არ არის საუბარი და საუბარია უფრო მოქნილ მექანიზმზე, რაც ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია.

**— რამდენიმე წლის წინათ მთავრობას ასეთივე ინიციატივა ჰქონდა, მაგრამ მაშინ პარლამენტმა უარი უთხრა. ახლა რატომ გახდა ამის მიღება საჭირო?**

— უი, არ მახსოვს, ეს როდის იყო?

* * *

ეს იდეა მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს ეკუთვნოდა და უნდა ითქვას, რომ ამ იდეის ერთ-ერთი კატეგორიული მოწინააღმდეგე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი იყო.

**ხათუნა გოგორიშვილი:** თავისთავად რომ გაძლიერდეს, პრობლემა არც ეს არ არის, მაგრამ ამ კანონის მიხედვით ეს არ ხდება და ამის მიზანი არის ის, რომ მთავრობის მუშაობა უფრო მოქნილი იყოს.

**— ეს რაში გამოიხატება?**

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მივიღეთ ელექტრონული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები და, შესაბამისად, მთავრობასაც უნდა გააჩნდეს ეს უფლება, რომ ელექტრონული მიმოწერით გადაწყვეტილების მიღება შეეძლოს. იგივე ის შემთხვევა, როდესაც მთავრობის სხდომის გარდა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების სხვა შემთხვევაშიც მიღება.

ექსპერტები პრობლემას სწორედ ამაში ხედავენ, რომ გადაწყვეტილება უკვე ერთი პირის მიერ იქნება მიღებული და არა კოლეგიალურად. ასევე პრობლემას ხედავენ დელეგირების უფლებასთან დაკავშირებითაც.

— დელეგირების უფლების გადაცემაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული პერიოდით პრემიერ-მინისტრს ექნება უფლება, თავისი უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს, რაც ქმედითს გახდის, ანუ, როდესაც კონკრეტულ საქმეს სჭირდება გადაწყვეტილების მიმღები იყოს კონკრეტული ადამიანი, ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს და მთავრობა უნდა იყოს მოქნილი და ქმედითი და ნებისმიერი ბიუროკრატიული და ფორმალური ბარიერები არ უნდა არსებობდეს.

**თეონა ხარაბაძე,**
For.ge

**◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სააკაშვილთან ბრძოლა სახიფათოა ქისისთვის

## ოპოზიციონერი ივანიშვილი უნდათ ბანკროტად აქციონ

როდესაც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება სათავეში ჩაუდგეს ქართულ ოპოზიციას, ჩვენს გაზეთში მას ვურჩიეთ: გაიაროს სრული სამედიცინო გამოკვლევა, სასურველია დასავლეთის ერთ-ერთ კლინიკაში და იქონიოს ცნობები იმის შესახებ, რომ მისი ჯანმრთელობა სრულ წესრიგშია. რათა, რაიმე შემთხვევაში, გაუადვილოს მუშაობა გამომძიებლებს. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სავსებით ჯანმრთელი ადამიანი, როდესაც სააკაშვილის მტრები ხდებოდნენ, მოულოდნელად განიცდიდნენ ფატალურ პრობლემებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. რასაც მიჰყავდა ისინი მოულოდნელ გარდაცვალებასთან აყვავების წლებში.

მოეგროვებინა ცნობები საგადასახადო და სხვა ინსტანციებიდან ბიზნესის მდგომარეობის შესახებ ჩვენ მას არ ვურჩიეთ, და დავაშავეთ კიდეც. იმიტომ, რომ სააკაშვილთან ბრძოლა სახიფათოა არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, არამედ ქისისთვისაც. ბიძინა ივანიშვილი დარწმუნდა ამაში საკუთარ თავზე 2 ივლისს, როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა აღმასრულებელმა ბიურომ აუქციონზე გამოიტანა მილიარდერის კუთვნილი აქციები სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფში“ და სააქციო საზოგადოება „პროგრეს ბანკში“.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ დაადგინა, რომ სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფში“ აქციების 100 პროცენტი ღირს 151880661 ლარი, ხოლო სააქციო საზოგადოება „პროგრეს ბანკში“ აქციების 21,7 პროცენტი — 3566498 ლარი.

საქართველოს კანონის „აღმასრულებელი წარმოებების შესახებ“ თანახმად, ივანიშვილის აქციები გამოტანილია აუქციონზე შეფასებითი ღირებულების ნახევარ ფასად. ივანიშვილის ქონება დააყადაღეს უარის გამო გადაიხადოს ჯარიმა დაახლოებით 45 მილიონი დოლარის ოდენობით, თითქოსდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული დარღვევების გამო. სასამართლომ „ამომრჩეველთა მოსყიდვად“ მიიჩნია სათანამგზავრო ანტენების შეღავათიან პირობებში დაყენება, რომელთა დახმარებითაც შეიძლება უყურო ოპოზიციურ ტელეარხებს, მათ შორის „მე-9“ არხსაც, რომელიც ივანიშვილს ეკუთვნის. ივნისის ბოლოს ქართულმა პოლიციამ მოაწყო მასშტაბური ოპერაცია, რომლის შედეგადაც მთელ ქვეყანაში დააყადაღეს და ამოიღეს 3 ათასზე მეტი სათანამგზავრო „თეფში“ (ანალოგიური ოპერაცია შარშან განახორციელა ირანის ხელისუფლებამ). სხვათა შორის, ივანიშვილის დაყადაღებული ქონების ღირებულება ჯარიმის თანხაზე მეტია — დაახლოებით 95 მილიონი დოლარი. მთლიანად ივანიშვილის ქონება, „ფორბსის“ მონაცემებით, შეფასებულია 6 მილიარდ 400 მილიონ დოლარად.

სხვათა შორის, მოსყიდვის შესახებ. საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა უკვე წამოაყენა წინადადება გამოეყოს ყოველ ქართულ ოჯახს ვაუჩერის სახით 1000 ლარი, რომელთა დახმარებითაც შეიძლება გადაიხადო კომუნალური ხარჯები, შეიძინო მედიკამენტები, სახელმძღვანელოები, სოფლად კი — სასუქები და საწვავი. მაგრამ საინტერესოა, ჩათვლის თუ არა ქართული სასამართლო ყოველივე ამას „ამომრჩეველთა მოსყიდვად“? რატომღაც მიგვაჩნია, რომ არა. სააკაშვილის გუნდი ხომ მოსყიდვას აწარმოებს რეგულარულად — ყოველი არჩევნების წინ. ტრადიციულად ქცეული ვაუჩერების გარდა იყო პრაქტიკაში ნატურალური პროდუქტების დარიგებაც — საახალწლო ინდაურებამდეც კი, რის შესახებაც არის მრავალრიცხოვანი დადასტურება.

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

# სააკაშვილის გინება პირდაპირ ეთერში მოხვდა

ტელეკომპანია „მაესტრომ“ აჩვენა სიუჟეტი იმის შესახებ, თუ როგორ იგინება პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.

ოთხშაბათს პრემიერ-მინისტრად დანიშნული ვანო მერაბიშვილი ემზადებოდა პირდაპირ ჩართვას ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე, იმ მომენტში მას მიმართავს სააკაშვილი, რომელიც ამბობს, რომ სტრასბურგში ევროპარლამენტში დებატებზე საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ წინადადებით, ოპოზიციონერებს „დედა უტირეს“.

„მათ დედა უტირეს“, — რამდენჯერმე იმეორებს სააკაშვილი.

მას შემდეგ, რაც „მაესტრომ“ აჩვენა ეს ჩანაწერი, დებატებს კომენტარი გაუკეთა თინა ხიდაშელმა რესპუბლიკური პარტიიდან, თბილისის პარლამენტის დეპუტატმა.

„პირველი პირის“ ტერმინოლოგიას მან „სამარცხვინო“ უწოდა, ამავე დროს სააკაშვილს ბრალი დასდო „აბსოლუტურ სიცრუეში“.

თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ დებატები გაიმართა ევროპის ლიბერალური პარტიის — ქართველი რესპუბლიკელების პარტნიორის ინიციატივით, და მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოს საელჩოს და ლობისტური კომპანიების მიუხედავად, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისთვის მუშაობენ, ილაპარაკეს ქართული დემოკრატიის პრობლემების შესახებ პარლამენტში ოქტომბრის არჩევნების წინ.

მისი სიტყვებით, ევროპელი დეპუტატები საუბრობდნენ საქართველოში „უკანონო დაპატიმრებების“ შესახებ, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კოალიციაზე ზემოქმედებაზე, იმის შესახებ, რომ სასამართლო საქართველოში არ არის თავისუფალი, ხოლო ტელეკომპანიები „რუსთავი-2“ და „იმედი“ მთავრობაზე მუშაობენ.

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ავარიის მიზეზი „ადამიანური ფაქტორი იყო“

იაპონიაში პარლამენტის კომიტეტი, რომელიც იძიებდა ავარიის შედეგებს, აცხადებს, რომ „ფუკუსიმა-1“-ის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის მიზეზი იყო ადამიანის მოქმედება. შეგახსენებთ, რომ ავარია შარშან მარტში მოხდა.

მოხსენების ავტორები აცხადებენ, რომ ავარიის პროგნოზირება შეიძლებოდა და ყველაფრის გაკეთებაც იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ მოვლენათა კატასტროფული განვითარება.

„ფუკუსიმაზე ავარია არ იყო ბუნებრივი, არამედ ეს იყო ტექნიკური კატასტროფა. ატომური სადგური არ იყო მზად ძლიერი მიწისძვრის დარტყმისთვის, არც ცუნამისთვის“, — ნათქვამია მოხსენებაში.

### შეცდომები

„ცხადია, რომ უბედურების მიზეზი იყო ადამიანის ფაქტორი. მთავრობას, სამეთვალყურეო ორგანოებსა და კომპანია „ტეპკოს“ ოპერატორს არ გააჩნდათ პასუხისმგებლობის გრძნობა ადამიანის და საზოგადოების ცხოვრებისთვის“, — აღნიშნავენ მოხსენების ავტორები.

დოკუმენტში ჩამოთვლილია მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც დაუშვა როგორც იაპონიის მთავრობამ, ისე კომპანია „ტეპკომ“, ვისაც ატომური ელექტროსადგური ეკუთვნის.

სხვა რამეთა გარდა მოხსენებაში ნახსენებია, რომ ავარიის კიდევ ერთი მიზეზი იყო იაპონიის კულტურის თავისებურებანი, რომლის მიხედვითაც არ არის მიღებული წინააღმდეგობა გაუწიო ზემდგომ ორგანოებს.

„სახელმწიფო სტრუქტურები და ტეპკო „შეგნებულად“ აჭიანურებდნენ გადაწყვეტილებათა მიღებას, ავლენდნენ უმოქმედობას, ანდა ღებულობდნენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელსაყრელი იყო მხოლოდ მათთვის“, — ნათქვამია მოხსენებაში.



„ფუკუსიმა-1“ ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მთლიანად დადნა სათბობი ღერძები სამ რეაქტორზე. ვრცელი ტერიტორიები დაბინძურდა რადიაქტიური ნივთიერებებით.

მოხდა ათობით ათასი ადამიანის ევაკუირება საკუთარი სახლებიდან, რეაქტორის გარშემო კი შეიქმნა განკერძოებული ზონა.

იაპონიის პარლამენტმა ავარიის შესაქმნელად 2011 წლის მაისში შექმნა კომიტეტი.

### რეაქტორის ხელახალი გაშვება

ამ დროს ხუთშაბათს იაპონიაში ავარიის შემდეგ პირველად ხელახლა გაუშვეს ატომური რეაქტორი.

კვლავ ამუშავდა ნომერი მესამე რეაქტორი ატომურ ელექტროსადგურ „ოხიზე“ ფუკუის პრეფექტურაში. კიდევ ერთი რეაქტორი ამავე ატომურ ელექტროსადგურზე უნდა გაუშვან 14 ივლისს.

გადაწყვეტილება ახალი რეაქტორების გაშვების შესახებ მიიღო იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ესიხიკო ნოდამ. მან განაცხადა, რომ ბირთვული ენერგეტიკისკენ დაბრუნება აუცილებელია ქვეყნისთვის, რათა სტიმული მიეცეს ეკონომიკურ ზრდას და თავიდან ავიცილოთ ელექტროენერგიის უკმარისობა ზაფხულის განმავლობაში.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შემდეგ, რომელიც ყველაზე სერიოზულ ინციდენტად ითვლება ბირთვულ ენერგეტიკაში ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, ყველა 50 იაპონური რეაქტორი თანდათანობით გამოყვანილი იქნა ექსპლოატაციიდან. ისინი ხელახლა აღარ აუმოქმედებიათ მორიგი გეგმიური გაჩერებების შემდეგ.

ატომურ ელექტროსადგურ „ოხიზე“ ორი რეაქტორის ამოქმედების შემდეგ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს გადაწყვიტოს, უსაფრთხოა თუ არა სხვა ატომური ელექტროსადგურების მუშაობის განახლება.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



თურქეთის სასტუმროში გაურკვეველი დაავადების გამო რუსი ბავშვები კარანტინში აღმოჩნდნენ

აზრი იმის შესახებ, თუ, კერძოდ, რითი მოიწამლა 16 ბავშვი, რომელთაგან 12 რუსეთიდან ჩამოვიდა, ჯერჯერობით სხვადასხვაგვარია. თურქეთის ტურიზმის სამინისტრო დარწმუნებულია, რომ პატარები მოიწამლნენ ჩვეულებრივი ჩუტყვავილით. რუსეთის ფედერაციის გენერალურ საკონსულოშიც გვამშვიდებენ, რომ ამ ეპიდემიაზე საუბარი არ მიდის. მაგრამ სასტუმროს ექიმები დარწმუნებული არიან, რომ ბავშვები დაავადდნენ ჰერპეტიკული ანგინით.

* * *

ირანი აშშ-ს დაემუქრა ახლო აღმოსავლეთში 35 სამხედრო ბაზის განადგურებით



ირანის ბალისტიკური რაკეტების მისაწვდომ მანძილზე მყოფი ამერიკის სამხედრო ობიექტები განადგურდება რამდენიმე წუთში, თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს თავს დაესხას ირანს, იმუქრებიან თეირანში. ბაზები განთავსებულია ბახრეინში, კუვეიტში, ყატარში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, თურქეთში, ავღანეთსა და ყირგიზეთში. ირანი ასევე იმუქრება, რომ დაარტყამს ისრაელსაც.

* * *

ასტროფიზიკოსებმა შეძლეს ეხილათ ხიდი შავი მასალისგან გალაქტიკებს შორის



ბნელი მატერიის გიგანტური ზოლი აღმოაჩინეს სამყაროს შუაში აბელ-222 და აბელ- 223 გალაქტიკებს შორის. მეცნიერების ჯგუფმა მისი შემჩნევა შეძლეს ეგრეთ წოდებული სუსტი გრავიტაციური ლინზირების აღმოჩენის წყალობით — ეს არის შუქის სხივების რკალი მათი ურთიერთმოქმედების დროს დიდი მასის მასალების დაგროვების შედეგად.

* * *

მექსიკის საარჩევნო კომისია დათანხმდა ხელახლა გადათვალოს ხმები პრეზიდენტის არჩევნებზე

ერთი დღით ადრე ეს მოითხოვა კანდიდატმა რესპუბლიკურ-დემოკრატიული პარტიიდან ობრადორმა, რომელმაც გამარჯვებული ენრიკე პენია მიეტოს შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა ხმების დათვლის შედეგად. ხელახლა გადათვლიან ბიულეტენების 54,5 პროცენტს ხმების დათვლაში „აზრთა სხვადასხვაობის“ აღმოჩენის გამო.



◉ „სადაურსა სად წაიყვან“

# ალავერდი ხანი

**რედაქციისგან: როგორც უკვე ვიუწყებოდით, შარშან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ეგიდით გამოვიდა ფრიად მნიშვნელოვანი, შესანიშნავად გაფორმებული 336-გვერდიანი ნაშრომი „100 ქართველი უცხოეთში“.**

**ამ სამენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური) წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუს“ მუდმივი დახმარებით, თიბისი ბანკისა და იმის ხელმძღვანელის მამუკა ხაზარაძის, აგრეთვე მაკდონალდსის საქართველოს ფინანსური მხარდაჭერითა და თამაზ სომხიშვილის უანგარო თანადგომით.**



**მასობრივი მკითხველისთვის ვიწყებთ იმ ისტორიულ ქართველთა თუ ქართული წარმოშობის პირთა შემოკლებული ბიოგრაფიის გაცნობას, რომელთა შესახებ, რედაქციის შეხედულებით, მათ ნაკლებად სმენიათ.**

**ალავერდი ხანი** გახლდათ XVI-XVII საუკუნეების ირანის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გამაჰმადიანებული ქართველი **უნდილაძის** „გორისა“, საქართველოდან ბავშვობაშივე ტყვედ წაყვანილი. იგი ირანის ჯარის პირველი **ყულარაღასი** (შაჰის მცველთა მეთაურიძ გახდა, იყო ფარსის ოლქის **ბეგლარბეგი** (ბეგთა ბეგი, ფეოდალთ ფეოდალი, „ჩვენებურად“ – ერისთავთ ერისთავიძ, შაჰ აბას I-ის სამხედრო რეფორმების გამტარებელი.

სარდლის რანგში ისახელა თავი ოსმალეთთან 1603-1612 წლების ომში. სამხედრო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა სამშენებლო საქმიანობასაც – საკუთარი სახსრებით აშენებდა ბაზრებს, ქარვასლებს, ხიდებს (არ ვიცით, თვითვე ხსნიდა თუ არა აშენებულ ობიექტებს, ან წითელ ლენტებს ჭრიდა თუ არა... – **თ. ე.**ძ; ისპაანში, მდინარე ზენდერუდზე, აუგია ხიდი, რომელიც დღემდე მოქმედებს და კვლავ იმისი სახელობისაა (როგორც ჩანს, ირანშიძ, ამჟამინდელი საქართველოსგან განსხვავებით, ისტორიულ სახელთა გადარქმევები მიღებული არ არის... – **თ. ე.**ძ.

ალავერდი ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა 1613 წელს (დაბადების წელი უცნობია – **თ. ე.**ძ. თანამედროვეთა მინიშნებით, მის სიკვდილში შაჰის ხელი ერია, თუმცა მრისხანე მბრძანებლის ნებით ალავერდი ხანი დიდი პატივით დაუკრძალავთ მეშჰედში.

ირანში მისი ვაჟებიც დაწინაურებულან: უფროსმა, იმამყული ხანმა გარდაცვლილი მამა შეცვალა ფარსის ბეგლარბეგის როლში, ხოლო უმცროსი, დაუდ ხანი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი გახდა.

მოამზადა

**თამაზ ებანოიძემ**

◉ წკეპლიკა

# უცნაური მალაყები

**გამოქვეყნდა კონკურსის – „პუბლიცისტიკა, კრიტიკა, ესეისტიკა“ – გამარჯვებულის დათო ქარდავას „მტკვარი და მისი არქიპელაგი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2012, 22 ივნისი – 5 ივლისი, გვ. 6).**

ავტორს მოსვლია ფაქტობრივი შეცდომა. ის წერს: „ვიქტორ ნოზაძის მტკიცებით, როცა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი **ავთანდილის მიერ თინათინისათვის ნაჩუქარი მარგალიტის** აღწერისას ამბობს, „პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი“-ო, „ბისონში“ მტკვარს გულისხმობს“.

სინამდვილეში პირიქითაა: ავთანდილმა კი არ აჩუქა სატრფოს მარგალიტის სამკლაური, არამედ ქალწულმა აჩუქა მოყმეს. ამით როსტევანის ასულმა მიჰბაძა ნესტანს, რომელმაც თავის გულისსწორს ოქროს სამკლავე უძღვნა.

უწინარეს ყოვლისა, გვაოცებს ერთი რამ: სად იშოვეს ისეთი ჟიურის წევრები, რომელთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა რუსთაველის პოემის ელემენტარული შინაარსის მცოდნე?! მერე კი ეგ გაგკვირვებია: ნუთუ ლიტერატურული გაზეთის არც ერთ თანამშრომელს არ აქვს წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“? სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ დაჯილდოებული ავტორის ამგვარი კურიოზი თვალსა და ხელს შუა გამოეპარათ?

ახლა კი მხოლოდ რედაქციის მუშაკებს უნდა ჩავუხველო: ნუთუ მათ მართლა არ იციან, რომ რუსთველოლოგ ნოზაძეს ერქვა არა **ვიქტორი,** არამედ – **ვიკტორი,** ხოლო მის მონოგრაფიებში პოემის სახელწოდება არასოდეს იკუმშება? მაშ, სწორია არა „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“, არამედ „ვეფხისტყაოსანის“ ღმრთისმეტყველება“.

კიდევ მეტი: რედაქციის მუშაკებს სხვა კურიოზიც გაჰპარვიათ. პოეტ გიორგი კეკელიძეს ერთმანეთში არევია ორი სრულიად სხვადასხვა ცნება – **ძილისპირული** და **ძლისპირი.**

**ძილისპირული** არის სიმღერა, რომელსაც დაძინების წინ ბავშვს უმღერიან; **ძლისპირი** არის რელიგიური ლექსი, პირველი საეკლესიო საგალობელი, ანუ ირმოსი. ელენე მეტრეველმა გამოსცა ფუნდამენტური მონოგრაფია „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (1971ძ. სხვათა შორის, ძლისპირის ამოსავალია ძალი (სიმი, ძაფი, ძუაძ.

პოეტი კეკელიძე, ეჭვი არაა, ძილისპირულს გულისხმობს, რადგან აღწერს ლირიკული გმირის სიზმრისწინა მდგომარეობას და ახსენებს ზღაპარს. ამისი მოდასტურეა ხშირად ხმარებული სინტაგმები: „სიზმრის საკითხავი?“, „მიწა იწვის სიზმრებისაგან“, „დამარხული სიზმრებისაგან“, „სიზმრები მიწაში დაიბადნენ“, „სიზმარია ეშმაკი და ანგელოზი“, „სიზმარია ჯოჯოხეთი“, „ძლისპირი ზღაპრით და უზღაპროდ“, „მუცლითმეზღაპრე“, „ზამთრის ძილი“, ისევ „ზამთრის ძილია“ და „სიზმრებსაც მოშივდებათ“ (გვ. 8ძ.

ასე რომ, რედაქციონერებს მართებდათ, გაესწორებინათ ტექსტი და ყველგან, სადაც წერია ძლისპირი (და ყველგან მხოლოდ ეს სიტყვა წერიაძ, შეეცვალათ იგი ცნებით – ძილისპირული.

**მურმან თავდიშვილი**


**მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა საყურადღებოდ!**

**„საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“ 2012-2013 სასწავლო წელს აცხადებს მიღებას სამაგისტრო პროგრამაზე „კავკასიის ისტორიული დემოგრაფია“.**

**კონკურსანტები საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და საუნივერსიტეტო შერჩევის საფუძველზე.**

**სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს სრულად შეისწავლოს და თავად გააანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები დემოგრაფიისა და, კერძოდ, კავკასიის დემოგრაფიული განვითარების პრობლემებზე, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და სამომავლო ასპექტებში.**

**სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრს დასაქმებისა და პროფესიული ცოდნის გამოყენების ფართო შესაძლებლობა ექნება. ასეთ კადრებზე მოთხოვნილება დიდია სამთავრობო თუ არასამთავრობო ანალიტიკურ დაწესებულებებში, მასმედიაში; აგრეთვე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.**


◉ კონტაქტები




# სიყვარულით გამთბარი მეგობრობა

**საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობებზე იმდენი იწერება, რომ ძნელია რაღაც ახალი, ორიგინალური თქვა და მაინც, ქართველი ებრაელობის ფენომენი ჯერაც ამოუხსნელია.**

სწორედ ამ ურთიერთობის განმტკიცების ერთ შესანიშნავ საღამოზე მოვხვდი, სადაც პროფესორმა ეთერ თოფჩიაშვილ-გიგინეიშვილმა მიმიწვია. იმ დღეს მისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფის, 220-გვერდიანი წიგნის „ებრაული სიმბოლოების“ პრეზენტაციაც იყო დაგეგმილი.



აშდოდის რაბინი იაკობ გაგულაშვილი

ღონისძიება, რომელიც თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ საკონფერენციო დარბაზში შედგა, „სოხნუთის“ სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობამ მოაწყო. „სოხნუთის“ საიუბილეო დღეების ფარგლებში ისრაელიდან საგანგებოდ იყვნენ მოწვეული საქართველოდან ასული ისრაელის რაბინები. შეხვედრის ძირითადი მოტივი რამდენიმედღიანი ვიზიტით მიღებული შთაბეჭდილებების და გამოცდილების გაზიარება და ერთგვარი შეჯამება იყო.

ქართველი ებრაელი რაბინების: იაკობ გაგულაშვილის – აშდოდიდან, იცხაკ მოძღვრიშვილის – ლოდიდან, აბრამ აჯიაშვილის – კირიათ-ათადან და სხვების გამოსვლა ემოციებით იყო დატვირთული. ისინი ქართულ ენაზე შესანიშნავად საუბრობდნენ და მადლიერებით იხსენებდნენ საქართველოში გატარებულ ბავშვობის წლებს, აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის როლს ქართველი ებრაელების ფენომენის ჩამოყალიბებაში და სამომავლოდ ბევრი სასიკეთო ჩანაფიქრის განხორციელების გეგმებიც გაგვიმხილეს.

ქართველ და ებრაელ საზოგადოებას გულთბილი სიტყვებით მიმართა სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტო „სოხნუთის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ავი ოფირმა. ის წარმოშობით აფხაზეთიდან გახლავთ. ისრაელში კი მშობლებმა გადასცეს ქართული ენის, მიწის სიყვარული, ქართველი ხალხის სითბო.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა აღნიშნა, რომ კარგად გრძნობს ქართველებისა და ქართველი ებრაელების განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულების არსებობას და ამიტომაც მშვენივრად ხვდება, თუ რატომ უჭირთ ქართველ ებრაელებს ამ მშვენიერი ქვეყნიდან გამგზავრება.

სტუმრებს მიესალმნენ რომან პოლანსკი – „სოხნუთის“ წარმომადგენელი დსთ-ს ქვეყნებში, იაკობ ფიჩხაძე – საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენელი და სხვები.

საღამოს ოფიციალური ნაწილის დამაგვირგვინებელ აკორდად იქცა წიგნის „ებრაული სიმბოლოების“ პრეზენტაცია. ვიდრე წიგნზე გეტყოდეთ ორიოდ სიტყვას, თვით ავტორის ბიოგრაფიიდან რამდენიმე შტრიხს გაგაცნობთ.

ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი გახლავთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (ქიმიაძ, პროფესორი, ბიბლეისტი – კითხულობს ლექციების ციკლს „იუდაიზმის ტრადიცია და სიმბოლიკა“, ჟურნალ „ებრაული სამყაროს“ რედაქტორი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თორის მასწავლებელი, ებრაელ ქალთა საზოგადოების „სიცოცხლის ხე“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო დამცველის საბჭოს წევრი, უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ავტორი ელემენტარულ ნაერთთა ქიმიაში, 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, პუბლიცისტი, მთარგმნელი...

„ფართოა ქალბატონი ეთერის ინტერესთა სფერო: სპორტი (იოგაძ, კერვა, ქსოვა, ქარგვა, მხატვრობა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, ქალთა ორგანიზაციებში მოღვაწეობა“, – მეუბნება ებრაული სათემო სახლის კოორდინატორი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში კარგად ცნობილი ქალბატონი ზაირა დავარაშვილი. ქალბატონი ეთერი შესანიშნავი ოჯახის დიასახლისია. ჰყავს მეუღლე – ნოდარ გიგინეიშვილი – რეჟისორ-ოპერატორი; ერთადერთი სანაქებო შვილი – ნინო, რომელმაც აშშ-ის კენტუკის უნივერსიტეტი დაამთავრა და ამჟამად მეუღლესთან სიმონ შაფთოშვილთან და პატარა შვილებთან ერთად ისრაელში ცხოვრობს.

რაც შეეხება მის ახლახან გამოსულ წიგნს „ებრაული სიმბოლოები“, ქართულ ენაზე შექმნილი მნიშვნელოვანი ნაშრომია ებრაულ სიმბოლიკებზე – თეფლინი, შაბათი, მეზუზა, მიცვები, მენორა, ტალითი, შოფარი და ა.შ.

**„... სიმბოლოს თავისებურება არა მხოლოდ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან, საზრისთანაა დაკავშირებული, არამედ მისი გარეგანი მხარის ხასიათთანაც – „ნიშნადობასთან“. სიმბოლო, პირობითი ნიშნისაგან განსხვავებით – მიტოვებული ნიშანია...** – ნათქვამია ავტორის წინასიტყვაობაში.

წიგნი დაიბეჭდა სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტო – „სოხნუთის“ წარმომადგენლობის მხარდაჭერით. დართული აქვს ფერადი ილუსტრაციები და განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის.

**ლეილა ნოდია**



ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი

⊙ ფეხბურთი

# ახალი სეზონის კონტურები

**სფფ-ში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პროექტის დეტალები და 2012-13 წლების საშეჯიბრო დებულების სამუშაო ვარიანტი კიდევ ერთხელ განიხილეს. შეხვედრაზე რვა კლუბის წარმომადგენელი გამოცხადდა.**

სამწუხაროდ, ამჯერადაც არ მოვიდა 4 კლუბი – „ჩიხურა", „დილა", „ზესტაფონი" და „მეტალურგი". ზედიზედ მეორედ, ვერ მოხერხდა 12-ვე კლუბის თავმოყრა, რაც ცოტა არ იყოს, საქმისადმი ზერელე მიდგომისა და სხვა კლუბების მიმართ უპატივცემულობის ნიშანია. ეს სამუშაო შეხვედრები, უპირველესად, კლუბების ინტერესებს, ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერებას ემსახურება. მიმდინარეობს ჯანსაღი კამათი და, საბოლოოდ, ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება ხდება.



მსჯელობის დასაწყისში სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ისაუბრა უეფას სიახლეებზე და კლუბების წარმომადგენლებს გააცნო კიევში გამართული უეფას აღმასკომის შედეგები.

პირველ საკითხად განხილულ იქნა მომავალი ჩემპიონატის პრემიალური ფონდის განაწილების საკითხი (2 მილიონი ლარი). კამათის გარეშე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ჩემპიონატის საპრიზო სამეულმა მიიღოს დამსახურებული ჯილდო და პრემია გადაეცეს თასის მფლობელსაც. იყო მოსაზრებაც, რომ ეს თანხა გადანაწილებულიყო სხვა კლუბებზეც, რომლებიც მომავალ ჩემპიონატში დაბალ ადგილებს დაიკავებენ - წახალისებისა და განვითარებაში დახმარების მიზნით.

ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ ფოთის „კოლხეთის" წარმომადგენელმა დააყენა შემდეგი წინადადება: პრემიალური თანხის გადანაწილება მომხდარიყო 9 გუნდზე შემდეგი პრინციპით: საპრიზო სამეულს და თასის მფლობელს მიეღო კუთვნილი ჯილდო – **I ადგილი – 500 ათასი ლარი, II ადგილი – 400 ათასი ლარი, III ადგილი – 300 ათასი ლარი; თასის მფლობელს – 100 ათასი ლარი, ფინალისტს – 50 ათასი; სუპერთასის გამარჯვებულს – 50 ათასი,** ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილებულიყო უმაღლესი ლიგის 9 გუნდზე, დაგროვილი ქულებისა და დარჩენილი საპრემიო ფონდის პროცენტული გადაანგარიშების შესაბამისად. ამასთან, პირველი ექვსეულის კოეფიციენტი განისაზღვრა 1-ით, ხოლო მეორე ექვსეულის – 0,5-ით.

საბოლოოდ, სწორედ ეს ვარიანტი იქნა მოწონებული, მიღებული და დებულებაშიც აუცილებლად დაფიქსირდება.

სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა წარმოადგინა უმაღლესი ლიგის 2012-13 წლების სეზონის კალენდრის სამი ვარიანტი, საიდანაც კლუბებმა თავისთვის ყველაზე მისაღები აარჩიეს –პირველი 22 ტური და თასის 1/16 ფინალები ჩატარდება 2012 წლის ბოლომდე. ხოლო დანარჩენი მატჩები სტარტს აიღებს 2013 წლის თებერვლის ბოლოს – მარტის დასაწყისიდან.

თავად ჩემპიონატის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

**პირველი ეტაპი: მონაწილეობს 12 გუნდი ორ წრედ (22 ტური).**

**მეორე ეტაპი: პირველი ექვსეული იბრძვის ჩემპიონობისა და პრიზიორობისთვის (10 ტური), ხოლო მეორე ექვსეული – უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად (10 ტური).**

**სულ – 32 ტური.**

**მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ მოპოვებული შედეგები (ქულა, მოგება და ა.შ)**

**უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებენ მეორე ექვსეულში 11-12 ადგილზე გასული გუნდები, ხოლო პირველი ლიგიდან ავტომატურად გადმოდიან პირველ და მეორე ადგილებზე გასულები.**

**უმაღლეს ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი ადგილის შესანარჩუნებლად ითამაშებს ერთ მატჩს (გადათამაშებას) პირველი ლიგის მესამე ადგილზე გასულ გუნდთან, ნეიტრალურ მოედანზე.**

**საქართველოს 2012-13 წლების ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღად განისაზღვრა 10-11 აგვისტო, სეზონი კი 25-26 მაისს დასრულდება (თასის გათამაშების ჩათვლით).**

იმასაც გაუწყებთ, რომ უმაღლესი ლიგის კლუბების საწევრო გადასახადთან დაკავშირებით სფფ პრინციპულ პოზიციას დაიკავებს და 1 აგვისტომდე ყველა კლუბს მოეთხოვება საწევროს გადახდა, რაც, წესისამებრ, წერილობითაც ეცნობებათ.

შეხვედრის ბოლოს „დინამო" თბილისმა წამოჭრა წინადადება შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც, ქვეყნის მასშტაბით, გარკვეული პერიოდულობით შეამოწმებს მოედნების სათამაშო მზადყოფნას და მის ხარისხს, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ის ტრადიციული პრობლემები, რაც თითქმის ყოველ წელს იქმნება-ხოლმე კლიმატის ცვალებადობასთან ერთად.

ბოლნისის „სიონსა" და მარტვილის „მერანს", რომელთაც ხშირად ექმნებათ მსგავსი პრობლემები, სფფ-მ გამოსავალის სახით სათამაშოდ შესთავაზა თავისი ვარიანტები, თუკი მათი მინდვრები სათამაშოდ უვარგისი გახდება: „სიონს" სფფ-ის ტექნიკური ცენტრი „ბასა", სადაც უკვე უმაღლესი დონის გასახდელებია მოწყობილი, დამოუკიდებელი შესასვლელებით, მსაჯთა ოთახებითა და უეფას მიერ მოთხოვნილი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი, ხოლო „მერანს" ლანჩხუთის, ქუთაისის ან განმუხურის სტადიონები.

ამასთან, მომდევნო შეხვედრაზე კლუბები წარმოადგენენ საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს თავიანთი ახალგაზრდული გუნდების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის მიზნით.

მომდევნო და, სავარაუდოდ, დასკვნითი შეხვედრა **16 ივლისს, 12 საათზე** გაიმართება, სადაც უკვე ყველა პოზიცია შეჯერდება და ჩემპიონატის ახალი დებულებაც სფფ-ის აღმასკომს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

**სფფ-ის პრესსამსახური**

⊙ ლიცენზიატი

# მანუჩარ ცხადაია

**ბავშვობისას ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, ხობში ფრიდონ გოცირიძესთან ვარჯიშობდა კიდეც. ხშირად თანატოლებს ეჭიდავებოდა, გამარჯვებაც მას რჩებოდა. ჰოდა, ერთ დღეს გოცირიძემ ჭიდაობის მწვრთნელ მამუკა ყორშიასთან მიიყვანა – ამ ბიჭს, მგონი, ფალავნის მონაცემები უფრო აქვსო.**

– გული მაინც ფეხბურთისკენ მიმიწევდა, მაგრამ უფროსებს ვერ ვეწინააღმდეგებოდი, – იგონებს მანუჩარი – მამამ მირჩია, ცოტა ხანი იჭიდავე, თუ არ მოგეწონება, შეეშვებიო. რაიონის პირველობა რომ მოვიგე, სტიმული მომეცა. მერე საქართველოს პირველობაზეც გავიმარჯვე და დარბაზს უფრო გავუშინაურდი. ასე შემოვრჩი დღემდე ხალიჩას, რასაც არ ვნანობ.

**– შედეგებით კმაყოფილი ხარ?**

– სამი დიდი შეჯიბრების ფინალი წავაგე და კმაყოფილი როგორ შეიძლება ვიყო. თუმცა ყველა მარცხი ჩემი ბრალი არ ყოფილა...

ქომაგები დამემოწმებიან, რომ 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მანუჩარ ცხადაიას ოქრო ჯიბიდან ამოაცალეს. ქართველი ფალავანი დამაჯერებლად უგებდა აზერბაიჯანელ ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემ-



პიონატების ორგზის გამარჯვებულ ფარიდ მანსუროვს. არბიტრებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ პირველი აზერბაიჯანელი ყოფილიყო. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგარი ჭაბუკი ცრემლს კბილებით იკავებდა.

– შარშანდელი მსოფლიოს ჩემპონატის ფინალში მარცხზე გული არ დამწყვეტია. ირანელი საიედ მოურად აბდვალი ჩემზე ძლიერი იყო და ალალია მასზე ჩემპიონობა. თუმცა არც ჩემი გამარჯვება იქნებოდა მოულოდნელი. რაც შეეხება წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტ ორთაბრძოლას, რუს რომან ვლასოვს საფინალო გონგამდე 12 წამით ადრე ვაჩუქე ოქროს მედალი. ჩემს კარიერაში ყველაზე გულდასაწყვეტი ეს წაგებაა, რადგან საკუთარი შეცდომით დავთმე ჩემპიონობა. ვერავის დავადანაშაულებ. ჩემი თავი ჯანდაბას – მწვრთნელების შემრცხვა: მამუკა ყორშიამ, ვაჟა კრავეიშვილმა, ბეგი დარჩიამ, სხვებმაც წლების განმავლობაში ჩემს მომზადებაში იმდენი შრომა ჩადეს და ვერ გავამართლე. ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მადლობელიც ვარ. 2009 წელს მათი ფინანსური დახმარებით რომ არ წავსულიყავი უნგრეთის „დიდ პრიზზე", ეროვნულ ნაკრებში ჩემი მოხვედრა, შესაძლოა, კარგა ხნით გადადებულიყო. განსაკუთრებული გულისხმიერება კი პირადმა მწვრთნელმა ვაჟა კრავეიშვილმა და მისმა მეუღლემ გამოიჩინეს. მათი დამსახურება რომ არა, დიდ სპორტში, ალბათ, ვერც დავრჩებოდი. კეთილი ადამიანების ბევრი ვალი მაქვს და ლონდონში ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლით ვეცდები მათს გადახდას. საამისოდ კი არაფერს დავიშურებ.

**ვაჟა დანელია**

⊙ ჩოგბურთი

# ზოგი იგებს, ზოგიც – აგებს

**იტალიურ ბიელაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატმა ანა ტატიშვილმა მეორე ბარიერიც წარმატებით გადალახა – ჩეხ ევა ბირნეროვას ორ სეტში დააყრევინა ფარ-ხმალი – 6:2, 6:4.**

ფრანგულ დენაინში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ცდის ძალებს სოფიო შაფათავა. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მან ფრანგ მანონ არკანგიოლის აჯობა. წყვილებში სოფიომ და ანგელინა გაბუევამ (რუსეთი) ტურნირის პირველ ნომრად განთესილი ქრისტინა-ანდრეა მიტუ (რუმინეთი) და პერმა ოზგენი (თურქეთი) დაამარცხეს – 6:0, 6:3.

ეკატერინე გორგიძე და სოფიო ქვაცაბაია პოლონურ ტონურში (25 ათასი დოლარი) პირველსავე წრეში დამარცხდნენ, შესაბამისად, უკრაინელ ნადია კიჩენკოსთან (4:6, 3:6) და სლოვაკ ზუზანა ზლოჩოვასთან (3:6, 3:6).

**გივი გაგუა**

⊙ „მუნდიალ – 2014"

# მართალია, შორია ბრაზილიამდე, მაგრამ...

**ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კალენდარში (რასაკვირველია, ოფიციალური ტურნირების ფინალურ ეტაპს ვგულისხმობთ) ორწლიანი ვაკუუმი გაჩნდა.**

უახლოესი ფორუმის – „მუნდიალ-2014"-ის დასკვნით რაუნდს, მოგეხსენებათ, ბრაზილია 12 ივნისიდან 13 ივლისამდე უმასპინძლებს. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ სამხრეთამერიკული ბატალიების ზოგადი პერსპექტივის გაცნობა.




მაშ ასე:

სტადიონები

**რიო დე ჟანეიროს „მარაკანა". 76935.**

**სალვადორის „არენა ფონტა ნოვა". 56500.**

**რესიფეს „არენა პერნამბუკო". 43921.**

**სან პაულუს „არენა სან პაულუ". 65807.**

**ნატალის „არენა დას დუნასი". 42007.**

**ფორტალეზას „კასტელაო". 64165.**

**მანაუსის „ნოვა ვივალდაო". 43710.**

**პორტუ ალეგრის „ბეირა რიო". 50287.**

**ბელუ ორიზონტის „მინეირაო". 66805.**

**ბრაზილიის „მანე გარინჩა". 71412.**

**კუიაბას „ნოვო ვერდაო". 42968.**

**კურიტიბას „არენა დე ბაიშადა". 40210.**

**კვოტები**

**ევროპა – 13 ადგილი.**

**სამხრეთ ამერიკა – 5 ადგილი.**

**აფრიკა – 5 ადგილი.**

**აზია – 4 ადგილი.**

**ჩრდილოეთ ამერიკა – 3 ადგილი.**

დებულების თანახმად, მასპინძლები საკვალიფიკაციო ტურნირის გარეშე, ავტომატურად არიან დაშვებულნი ფინალურ ეტაპზე, ხოლო კიდევ ორ გუნდს პლეი-ოფები გამოავლენს.

**სისტემა**

**ჯგუფური ტურნირი – 12-26 ივნისი.**

**მერვედფინალები – 28, 29, 30 ივნისი და 1 ივლისი.**

**მეოთხედფინალები – 4 და 5 ივლისი.**

**ნახევარფინალები – 8 და 9 ივლისი (სან პაულუ და ბელუ ორიზონტი).**

**მატჩი III ადგილისთვის – 12 ივლისი (ქვეყნის დედაქალაქი ბრაზილია).**

**ფინალი – 13 ივლისი (რიო დე ჟანეირო).**

**გიორგი შოთაძე**

⊙ კალათბურთი

# მნიშვნელოვანი გამოცდის წინ



**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს. დავით უსტიაშვილის გუნდმა, როგორც იცით, თბილისში ისრაელთან 2 სპარინგ-მატჩი გამართა, გუშინ კი საკონტროლო მატჩების გასამართავად ტალინში გაემგზავრა, სადაც ესტონელ თანატოლებს ორჯერ გაეჯიბრება.**

ტალინში გამგზავრებამდე 20-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, რომელიც საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ჩატარდა და რომელსაც მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები თბილისში მოემზადება და 10 ივლისს სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (12-22 ივლისი) სათამაშოდ გაემგზავრება. საქართველო ჯგუფში ესპანეთთან, თურქეთთან და ლატვიასთან ერთად მოხვდა.

**20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა:**

უკანახაზელები **– ოთო ფხაკაძე, დუდა სანაძე, რეზო როგავა, მერაბ ბოქოლიშვილი, გიორგი ტეტელაშვილი.**

ფორვარდები **– ბექა ბურჯანაძე, ლევან ელიაძე, ნოდარ თენიეშვილი, ზურა მაჩალაძე.**

ცენტრები **– ავთანდილ ლომინაშვილი, ირაკლი ალხანაიძე, გოგა ჯავახიშვილი.**

მთავარი მწვრთნელი: **დავით უსტიაშვილი.**

მწვრთნელი: **არჩილ ჟღენტი.**

ფიზიოთერაპევტი: **ზურაბ იოსელიანი.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ოჰო!

# „ქალთა საკითხი“ და... მაიმუნები



**მაიმუნთა ყაჩაღური თავდასხმების გამო აფრიკის კონტინენტის ზოგიერთ რეგიონში გლეხები იძულებულნი არიან, დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და სხვაგან გადასახლდნენ. მაგალითად, კენიაში მოსავლის აღება-დაბინავება ქალის უპირველეს და უწმინდეს მოვალეობად ითვლება.** არადა, როგორც კი ყანებში მარცვლეული და ბოსტნეული დამწიფდება, მაშინვე გამოჩნდებიან „მწვანე მაიმუნების“ (ასე ეძახიან ბეწვის მომწვანო ფერის გამო) ბატალიონები და პირწმინდად ასუფთავებენ გლეხების მთელი წლის სარჩო-საბადებელს. მაიმუნებმა სოფელ ნაჩუს გლეხის ქალებს სიცოცხლე გაუმწარეს. რა არ იღონეს სოფლელებმა თავდასაცავად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ნათესებს ბადეებისა და ხაფანგებისაგან დაწნული ღობე შემოავლეს, თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი მაიმუნიც კი არ გაბმულა, ბოლოს ძაღლების ხროვა მიუსიეს, მაგრამ მაიმუნთა რაზმებმა ორიოდე მოწინავე ძაღლი ისე დაგლიჯეს, რომ ძაღლები კუდამოძუებულნი გაიქცნენ. ერთხანს ქალები მამაკაცურად გამოეწყვნენ: თმები საგულდაგულოდ აიკეცეს, თავზე კაცების ჭილოფები დაიხურეს, შარვლები ამოიცვეს და ასე გავიდნენ მინდორში. მცხუნვარე მზის ქვეშ სიმწრით მოწეული მთელი წლის ჭირნახულის დასაცავად.

რა დაინახეს მამაკაცურად გადაცმული ქალები, მაიმუნები გამოეფინენ ხეებზე და დაიწყეს ქალების აბუჩად აგდება: ხელებს თან გულმკერდზე ირტყამდნენ, თან ქალებისკენ იშვერდნენ და მანჭვა-გრეხით, ამრეზილი მიმიკით დაჰკიჟინებდნენ — აქაოდა, ჩვენ ასე ადვილად არ ვტყუვდებითო. ბოლოს ზოგიერთი მათგანი ისე გათავხედდა, რომ ქუჩის ბიჭებივით დაუწყეს ქალებს სხეულის სასიცოცხლო ადგილების დემონსტრაციული ჩვენება. ასეთი შეურაცხმყოფელი გამოხტომები მათ არა ერთხელ გაიმეორეს. ერთ-ერთი ასეთი სცენის მომსწრე აღმოჩნდა ქვეყნის პარლამენტის რამდენიმე წევრი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ სოფლელების მიერ შეტანილი საჩივრის გამო.

კენიის დედაქალაქ ნაირობში პარლამენტის სხდომაზე დადასტურდა, რომ გლეხების მიერ საჩივარში აღწერილი მდგომარეობა სიმართლეს შეესაბამებოდა, ანუ დაფიქსირდა სოფელ ნაჩუს ქალების სექსუალური ხასიათის დისკრიმინაცია მაიმუნების მხრიდან. თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა საჩივრის განხილვა, ამის აღწერა, ალბათ, ძნელი არ არის. სოფელში კი საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ არის, რადგან მოსახლეობას შიმშილი ელის. მაიმუნები ქალებს ადამიანებად არ თვლიან, მხოლოდ მამაკაცების ეშინიათ. მაგრამ, სანამ მამაკაცები გამოჩნდებიან, ისინი როგორღაც წინასწარ გრძნობენ და მაშინვე ტყეს აფარებენ თავს. ერთხელ სოფლელები არ დაელოდნენ მოსავლის დამწიფებას და ნაადრევად აიღეს და ქოხებში შეინახეს დასამწიფებლად. მაგრამ მაიმუნები სულ გათავხედდნენ და ხელი მიჰყვეს პირდაპირ ქოხებიდან ყველანაირი საკვების დაყაჩაღება-დატაცებას. მათგან თავის დაღწევა შეუძლებელი გახდა, ამიტომ ზოგიერთი ოჯახი აიყარა და მეზობელ სოფელში ან ახლობელ ნათესავებთან შეაფარა თავი.

თუმცა რაა გასაკვირი, როცა ინდოეთში მაიმუნების არმიას რამდენიმე დღე ალყაში ჰყავდა მოქცეული მთელი ქალაქი! ისინი საკმაოდ მოუხელთებელნი არიან და მათი გამოჭერა არც თუ ისე ადვილია. მიზანში ამოღებული ობიექტი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა და დეტალურად სწავლობენ და ითვალისწინებენ ყოველგვარ წვრილმანს. მათი ჯოგები განსაკუთრებული დანიშნულების სპეცრაზმებს მოგვაგონებს. ისინი არიან ორგანიზებულნი, შედგებიან მოიერიშე, თავდაცვითი და უკანდახევის უზრუნველყოფის ქვედანაყოფებად, რომელთა თითოეულ წევრს თავისი როლი და ფუნქცია აქვს. რაც მთავარია, საკმაოდ შეთანხმებულად და ორგანიზებულად მოქმედებენ და ჩვენგან განსხვავებით ასე ადვილად პროვოკაციებს არ ებებიან. ნებისმიერ საბრძოლო ოპერაციებს დიდხანს ამუშავებენ, რის გამოც მათი „გამოჭერა“ თითქმის შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, სქესთა თანასწორუფლებიანობის იდეა მაიმუნების თანასაზოგადოებაში სრულიად უგულებელყოფილია. უფრო მეტიც, ისინი ადამიანთა მოდგმის ქალებს არაფრად აგდებენ. თუმცა მაიმუნებისგან რატომ უნდა გვიკვირდეს, როცა XXI საუკუნის საქართველოში, ქვეყნის პარლამენტის 90 პროცენტზე მეტს მამაკაცები შეადგენენ! ასე რომ, ჩვენს სინამდვილეშიც, მაიმუნთა მსგავსად, ქალის როლი და მისი ზეგავლენა დღეს საკმაოდ სუსტია.

**მედეა თავდიშვილი**

მაღალი საზოგადოება

# გრიმალდების ოჯახის კარის ვნებათაღელვა

**ევროპის ყველა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, საფრანგეთის ამჟამად უკვე ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, ცნობილი მოდელი ნაომი კემპბელი მეუღლესთან, რუს მილიარდერ ვლადისლავ დორონინთან ერთად, სახელგანთქმული დიზაინერი კარლ ლაგერფელდი და კიდევ რვაასი ასევე სახელოვანი სტუმარი იყო შეკრებილი მონაკოს თავადის ალბერ II-სა და ცურვაში სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის ჩემპიონის შარლინ უიტსტოკის ქორწილში ლაჟვარდოვან სანაპიროზე შარშან მაისში.**

ალბერ II-ის დედის, სახელგანთქმული ჰოლივუდელი კინოვარსკვლავის გრეის კელის შესახებ წიგნის ავტორი ელენ ქოლი, რომელიც ასევე მიწვეული იყო ქორწილში, მოგვიანებით წერდა: „ეს იყო უზადო გემოვნების ჭეშმარიტი დღესასწაული — ყველაფერი დიდებული იყო: ქორწილის ორგანიზაციაც და საჭმელ-სასმელიც...“ ახლა წარმოიდგინეთ სტუმართა გაოცება, როცა ამ მხიარულებასა და ჟრიამულში პატარძალი, „საქორწინო პროტოკოლის“ სრული უგულებელყოფით... მწარედ აქვითინდა!

ამ არაორდინალური ამბის მომსწრეთა აზრი ორად გაიყო: რომანტიკულად განწყობილი უმცირესობა მიიჩნევდა, რომ პატარძალს ეს მოჭარბებული სიხარულით მოუვიდა, საქმეში ჩახედული უმრავლესობა კი თვლიდა, რომ შარლინი მომხდარს ძალიან განიცდის, ჯვარი კი სულაც ძალისძალით დაწერეს! პრესა კი, გრიმალდების ოჯახის მოურიდებლად, პირდაპირ წერდა, რომ თავადის საცოლე სამჯერ გამოექცა საქმროს, მაგრამ სამივეჯერ უკან დააბრუნეს. საფუძვლიანი ეჭვი, რომ ყვითელი პრესა სიმართლეს წერდა, ერთმა გარემოებამ გაამაგრა: მიუხედავად მაკომპრომიტირებელი წერილისა, თავადმა ალბერმა გაზეთ „სანდი თაიმსს“ სასამართლოში მაინც არ უჩივლა, თუმცა კი მანამდე გაცილებით უფრო უმნიშვნელო ინფორმაციების გამო არნახული სკანდალები აუტეხავს. ახლადდაქორწინებულებზე ჭორაობას პრესა არც მერე მოეშვა.

თავდაპირველად მითქმა-მოთქმა იყო საქორწინო ღამეზე: თითქოს ალბერმა ის თავის საძინებელში გაატარა, შარლინმა კი მონტე-კარლოს ფეშენებელურ სასტუმრო „დე პარიში“ იქირავა ნომერი. მერე გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, თითქოს სამხრეთ-აფრიკის კურორტებზე თაფლობის თვე ცოლ-ქმარმა ცალ-ცალკე საძინებლებში გაატარა...



ბოლოს კი მასმედიის საშუალებებმა ალბერის მესამე და მეოთხე უკანონო შვილების ამბავიც ამცნეს საზოგადოებას, თორემ მის ორ პირველ შთამომავალზე — შავკანიანი სტიუარდესის ნიკოლ კოსტის ცხრა წლის შვილზე ალექსანდრეზე და უძრავი ქონებით მოვაჭრე თამარ როტოლოს ოცი წლის ქალიშვილზე ჟასმინ-გრეისზე ისედაც ცნობილი იყო. თუმცა პატარებთან დაკავშირებით პრესა შეცდა — ამბავი ტყუილი აღმოჩნდა.

დიდი ხნის წინათ ასაგორებელი სკანდალი ახლახან აგორდა: თავადმა ალბერმა და მისმა მეუღლემ შარლინმა გაზეთ „სანდი თაიმსს“ მაინც უჩივლეს! ისმება კითხვა: რატომ ასე გვიან? იმიტომ, რომ ახლა ცოლ-ქმარს ყველაფერი რიგზე აქვთ. მთელი ამ ამბის სარჩულია მეტად უსიამო ჭორი იმის თაობაზე, რომ თუკი შარლინი მეუღლეს ბიჭს არ გაუჩენს, მაშინ მონაკოს ტახტის მემკვიდრე შავკანიანი ნიკოლ კოსტის შვილი, ალექსანდრე გრიმალდი გახდება. ყველაფერ ამას პიკანტურობას ისიც სძენს, რომ მთელი შარშანდელი სეზონი ნიკოლმა ლაჟვარდოვან სანაპიროზე რუსეთელი ოლიგარქების წვეულებებზე გაატარა, ბოლოს კი ფეშენებელურ კურორტ იბიცაზე იტალიელ ბიზნესმენებთან ერთად წაბრძანდა... ამიტომაც იყო, რომ ქორწინების შემდეგ შარლინმა ალბერს კატეგორიულად მოსთხოვა — ან მე, ან შენი საყვარლებიო. ულტიმატუმმა შედეგი გამოიღო: მაღალი საზოგადოების ყველა სალონის კარი ნიკოლს ცხვირწინ მიუხურეს. მეტიც: თავადმა შვილთან ურთიერთობაც კი მინიმუმამდე შეამცირა. ახლა საქმე ახალი უფლისწულის გაჩენაზეა.

**დალი ხუნდაძე**

---



ძმა ზურაბ ბახტაძე, და მაყვალა ბახტაძე, რძალი მარინა გოგავა, სიძე ლეონდარ გეგეშიძე, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლალი ვალერიანეს ასული ბახტაძე.**

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ზურაბ ბახტაძის ოჯახს დის

**ლალი ბახტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი სამძიმარს უცხადებს მაყვალა და ზურაბ ბახტაძეებს და მათი ოჯახის წევრებს

**ლალი ბახტაძის**

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ნათელა ჭახნაკია, შვილები ლადო, ედიშერ ჭელიძეები, შვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, მეცნიერი, აკადემიკოსი

**გიზო ჭელიძე**

პანაშვიდი 6 VII, 14 სთ. სიონის საკათედრო ტაძარში. დაკრძალვა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში 10 VII, 15 სთ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ფოლკლორისტი, პედაგოგი და შესანიშნავი პიროვნება

**გიზო ჭელიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გივი ჯამბურია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი, ღირსეული მოქალაქე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გივი ჯამბურია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც ამჟამად 15 წლისაა. მას ჩემს გარეშე არსებობა უჭირს. მაისის ბოლოს უწევს სამედიცინო კომისიაზე გასვლა. მეუბნებიან, თუ პირველი ან მეორე ჯგუფი არ დაუდგინეს, პენსია მოეხსნებაო. მართლა ასეა?

**ელენე ციცხვაია**

**პასუხი:** არა, გულს ნუ გაიტეხთ, მთლად მასე არ არის, მაგრამ თქვენმა შვილმა დანიშნულ დროს აუცილებლად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსია მიეცემათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ხელახალი გადამოწმების დროს ასეთი დახმარების საჭიროების დადგენის შემთხვევაში.

* * *

**კითხვა:** ვარ 70 წლის, ასაკით პენსიონერი. ტელევიზიითა და პრესით შევიტყვე, რომ პენსია უნდა გამეზარდოს და ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისიც მომეცეს, რასაც მოუთმენლად ველოდები,მაგრამ სრულყოფილად არ ვარ გარკვეული, ზუსტად როდიდან და რა თანხით გამეზრდება პენსია, რომელიც დღეისათვის, 40 წლის შრომის სტაჟის დანამატის გათვალისწინებით, თვეში 110 ლარის ოდენობით მეძლევა. გთხოვთ, განმიარტოთ, რა დროიდან და როგორი ოდენობით მოხდება ჩემი პენსიის გადიდება და სამედიცინო პოლისით უზრუნველყოფა?

**მარიამ კაპეტივაძე**

**პასუხი:** ასაკით პენსიონერებისთვის პენსიის გადიდება და მათი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია 2012 წლის 1 სექტემბრიდან. მთავრობის მიერ მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, 67 წელს გადაცილებულ ასაკით პენსიონერებსა და პირველი ჯგუფის ინვალიდებს მიეცემათ 140-ლარიანი საპენსიო პაკეტი, საიდანაც ხელზე ასაღები პენსია - 125 ლარი, ხოლო დანარჩენი 15 ლარი სადაზღვევო თანხა იქნება. აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალურ ინფორმაციას ჩვენი გაზეთის მეშვეობით დამატებით მოგაწვდით შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

## დაიჯესტი

### დავიწყებული ნენსი



**კვირადღეობით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უბრალოდ მისტერ დევიდ კემერონად ყოფნას ამჯობინებს. ცოლშვილთან და მეგობრებთან ერთად იგი ხშირად რომელიმე ლუდხანას, ანუ პაბს სტუმრობს. ცოტა ხნის წინათ კი კემერონების საყვარელ ლუდხანაში „ფლო ინში“ სტუმრობა მასმედიის საშუალებათა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.**

ლუდხანაში გარკვეული ხნის ყოფნის შემდეგ კემერონების ოჯახი სახლში გაბრუნდა, მაგრამ უცბად... ერთი შვილი სათვალავში დააკლდათ! დევიდი წინ დაცვით მიდიოდა და დარწმუნებული იყო, რომ მეუღლე ბავშვებთან ერთად უკან მოჰყვებოდა. მისის სამანტა კი დარწმუნებული იყო, რომ რვა წლის ნენსი მამას ჩაუხტა მანქანაში. არადა მერე აღმოჩნდა, რომ გასვლის წინ გოგონა საპირფარეშოში გაქცეულა.

კემერონმა მაშინვე ლუდის რესტორანში დარეკა და ბავშვის წამოსაყვანად გავარდა. „პრემიერმა მომხდარი ძალიან განიცადა, მაგრამ ბავშვს არანაირი საფრთხე არ შექმნია“, – განაცხადეს მოგვიანებით პრემიერის რეზიდენციაში და დასძინეს, რომ ამ დაუდევრობისთვის დაცვის თანამშრომლებს არ დასჯიან. ნენსის კი „გუგული“ მშობლების მოლოდინში 15 წუთი ცდამ მოუწია.

– დევიდ კემერონი ის კაცი არ არის, რომელსაც დაურეკავ და ეტყვი, შვილი ლუდხანაში დაგრჩაო. მაგრამ ის, რომ მას შეუძლია ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანი სადღაც დარჩეს, როგორიცაა ქალიშვილი, დიდად დამაფიქრებელია, – განუცხადეს ჟურნალისტებს ახლა უკვე დიდად ცნობილი ლუდხანა „ფლო ინის“ სტუმრებმა.

### უხუცესი ექიმის აღსასრული

**ამერიკის შეერთებულ შტატებში 114 წლის ასაკში მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული პრაქტიკოსი ექიმი ლეილა დენმარკი გარდაიცვალა.**

მან ჯორჯიის სამედიცინო კოლეჯი დაამთავრა და 1928 წლის გამოშვებაში ერთადერთი ქალბატონი იყო. 1931 წელს მისის დენმარკი ატლანტაში



პედიატრიულ პრაქტიკას შეუდგა. მის პროფესიულ მიღწევათა შორისაა მონაწილეობა ქუნთრუშის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა. პენსიაში იგი 103 წლის ასაკში გავიდა, ხოლო 2001 წელს მისი სახელი გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს, როგორც პლანეტის ყველაზე ასაკოვანი პრაქტიკოსი ექიმი.

### ცად აზიდულები



**ბაბილონის გოდოლის სავალალო ამბავი, როგორც ჩანს, ადამიანებს მაინცდამაინც არ აშინებთ. ცოტა ხნის წინათ ტოკიოში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტელეანძის მშენებლობა დასრულდა, რომლის სიმაღლეა 634 მეტრი.** მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ არის ყველაზე გრანდიოზული შენობა, რადგან დუბაიში აგებული მსოფლიოში უდიდესი შენობა „ბურჯ-ჰალიფი“ 828 მეტრის სიმაღლისაა.

### შიშველი „პროტესტანტი“

**პირადი ჩხრეკის არცთუ სასიამოვნო პროცედურა თვითმფრინავებით მგზავრებში ბოლო დროს სულ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს. განსაკუთრებული სიმკაცრით კი ამ მხრივ აშშ-ისა და ისრაელის აეროპორტებში გამოირჩევიან.**



ჰოდა, როგორც ჩანს, ერთ-ერთ მგზავრს ეს პროცედურა იმდენად ყელში ამოუვიდა, რომ ამერიკული პორტლენდის აეროპორტში იგი... დედიშობილა მივიდა! ამის შემხედვარე ხალხი სიცილით იხოცებოდა და ბუთხუზა წვეროსან კაცს მობილურ ტელეფონებსა და ვიდეოკამერებზე იღებდა.

თავად ჯონ ბრენანი კი ტანსაცმლის ჩაცმაზე კატეგორიულად უარს აცხადებდა და ამბობდა, რომ ამით „მგზავრთა გაშიშვლების“ წინააღმდეგ გამოდის. ამასთან, პოლიციის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ბრენანი არც ნასვამი იყო, არც ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ. ამიტომაც იგი მალევე გაუშვეს, მაგრამ თვითმფრინავზე მას მაინც დააგვიანდა.

### ომი სიქაჩლეს

**ამერიკელ მელოტებს თავზე... ფეხის თმის გადანერგვას სთავაზობენ. მოხალისეებზე ჩატარებული ცდების შედეგად გაირკვა, რომ გადანერგილი თმის საფარის 80 პროცენტმა წარმატებით „იხარა“.** ერთი კია – თმის ფერი გადანერგვის ხშირ შემთხვევაში იცვლება.



## ჩვენი პრესდაიჯესტი



### ჟურნალ-გაზეთებიდან

### ალასანია თუ ხველელიძე — ვინ იქნება „ქართული ოცნების“ სიის სათავეში?..

გავრცელდა ინფორმაცია, რომ სიის პირველი ნომერი ალასანია აღარ იქნება. სანაცვლოდ მის ადგილს სიაში დაიკავებს ეკა ხველელიძე. – თუმცა, ეს, ისევ და ისევ ივანიშვილის პრეროგატივაა და ვნახოთ, როგორ გადაწყვეტს, – ამბობს კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი მანანა კობახიძე.

### სოფო ნიჟარაძე „მრეცხავი“ გახდა

პროექტ „ნიჭიერის“ დასრულებისთანავე ქართული ესტრადის მომღერალ სოფო ნიჟარაძეს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. მას მთავარი როლის შესრულება მოუწევს გათანამედროვებულ მიუზიკლში „ვერის უბნის მელოდიები“. ხელოვნების ცენტრის სცენაზე მიუზიკლისთვის აქტიური სამზადისია. მისი რეჟისორიც, ისევე როგორც „ქეთო და კოტესი“, კვლავ დათო დოიაშვილი იქნება.

„ახალი თაობა“.

### პრემიერ მერაბიშვილს შს სამინისტროდან თავისი გუნდი მოჰყავს

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსი შოთა უტიაშვილი ისევ ვანო მერაბიშვილის გვერდით იქნება. საუბარია იმაზეც, რომ ახალი პრემიერი შს სამინისტროდან საკუთარ გუნდს პრემიერ-მინისტრის აპარატშიც გადაიყვანს და ამ გუნდში ყოფილი მოადგილე, მისი თანაქალაქელი ამირან მესხელიც უკვე მოიაზრება.

„რეზონანსი“

### რა სვლა გააკეთა ვანო მერაბიშვილის დაწინაურებით სააკაშვილმა?

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ფიქრობს, რომ ეგ მოსალოდნელი იყო, რახან გარეგნულად პოლიციის კარგი მუშაობა ჩანს... – თუმცა არ მეგონა თუ ახალაიას დანიშნავდა მინისტრად. მიუხედავად იმისა, რომ ახალაიების ოჯახს ძალიან ეყრდნობა სააკაშვილი, მაინც არაპოპულარული სვლა გამოუვიდა. საქართველოს მოსახლეობაში ეგენი არიან ძალიან არაპოპულარულები. ფაქტობრივად, მარტო ერთი მინისტრი გამოცვალეს... სხვათა შორის, ახალაიასგან რეპრესიებს მე არ ველოდები, უფრო გაძლიერდება ფარულად ხალხის დაშინება.

„ალია“.

## კადრი



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– ალო, გამარჯობა, სადა ხარ?
– სახლში. შენ?
– მე შენთან ერთად ვზივარ ავტობუსში.

* * *

– დიეტაზე დავჯექი, – ეუბნება სარა დაქალს, – დღეს სადილობისას ორი კვერცხი და ერთი სტაფილო ვჭამე, ვახშმად კი ორი კივი და ერთი ბანანი მქონდა.
– ხვალ კი ორ პამიდორსა და ერთ კიტრს მოისურვებ, არა?
– ჰო! მაგრამ შენ საიდან მიხვდი?



* * *

ებრაული სიბრძნე: თუ პრობლემის გადაჭრა ფულით შეიძლება, მაშინ ეს პრობლემა კი არა, ხარჯია.

* * *

მთვრალ შრომის მასწავლებელს შეუძლია ბავშვებს ფილოსოფიაც ასწავლოს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24